პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲕᲐᲞᲖᲔᲗᲘ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ № 295 (1703-ᲯᲘ) ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ. 1977

ᲮᲝᲠᲪᲘ ᲨᲔᲕᲕᲐᲡᲬᲐᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ!

ᲐᲑᲐᲰᲝᲔᲗᲨᲘ მეათე ხუთწლედის მესამე წელი იწყება. მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია მთაგონებით შრომობენ იმ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესასრულებლად, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ წამოაყენა. პარტიის გადაწყვეტილებანი მეცნიერული, ღრმად და ყოველმხრივ დასაბუთებულია. მათი მიზანი ის არის, რომ კვლავაც იზრდებოდეს საბჭოთა ეკონომიკური და სულიერი სიმდიდრე, მისი თავდაცვისუნარიანობა, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება სულ უფრო შეძლებული და სახიერული ხდებოდეს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურეს ამ რამდენიმე დღის წინ გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ.

პლენუმმა და უმაღლესი საბჭოს სესიამ განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, პლენუმისა და სესიის მასალებში ასახა იმ მუშაობის შედეგები, რომელიც პარტიამ და ხალხმა გასწიეს ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში, დაზუსტდა მორიგი ამოცანები, დასახა შემდგომი მოქმედების პროგრამა, რომლის რეალიზაცია შეგვასრულებინებს პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

1977 წელი, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, უაღრესად დაძაბული, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი წელი იყო, ჩვენ მივიღეთ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია; საზეიმოდ აღვნიშნეთ ოქტომბრის მე-60 წლისთავი; საგრძნობლად დაწინაურდა ჩვენი ეკონომიკა. კარგად, კეთილსინდისიერად იჯერებოდნენ საბჭოთა ადამიანები, ოპერატიულად, მარჯვედ მოქმედებდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ყოველივე ამის შედეგად პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები წარმატებით ხორციელდებოდა.

პლენუმსა და სესიაზე მოყვანილი ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგები მოწმობს საბჭოთა ეკონომიკის ზრდის უდიდეს მასშტაბს. წინასწარი შეფასებით, ეროვნული შემოსავალი 8,4 პროცენტით გაიზრდება, სამრეწველო წარმოების მატება 1977 წელს შეადგენს 5,8 პროცენტს, მაშინ როდესაც წლიური გეგმა 5,6 პროცენტს თვალისწინებს, ხოლო ორ წელიწადში —10,9 პროცენტს, რაც საგეგმო დავალებათა დონეზეა. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური მოცულობა 1976-1977 წლებში წინა ხუთწლედის ამავე პერიოდთან შედარებით 6,6 პროცენტით გაიზრდება. მარცვლეულის საშუალო-წლიური წარმოება შეადგენს 209,6 მილიონ ტონას მეცხრე ხუთწლედის 181,6 მილიონ ტონასთან შედარებით. სახალხო მეურნეობის განვითარებას ორ წელიწადში 240 მილიარდი მანეთი მოხმარდა.

განუხრელად იზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი — ორ წელიწადში მისი ზრდა ერთ სულ მოსახლეზე 7 პროცენტს შეადგენს. ფართო ფრონტით წარმოებს სახბინო მშენებლობა, 1976-1977 წლებში აშენდება 216 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს 22 მილიონ კაცს გავუუმჯობესოთ სახბინო პირობები. სულ უფრო ხრულად კმაყოფილდება ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

ერთი სიტყვით, ჩვენ პირველ რიგ გვაქვს აქტივები ჩასაწერიც და საამაყოც. მაგრამ, როცა ჯეროვან პატივს მიაგებს მოპოვებულ წარმატებებს, პარტიას ისიც კარგად ესმის, რომ პრობლემაც ბევრი გვაქვს გადასაჭრელი. პლენუმსა და უმაღლესი საბჭოს სესიაზე აღინიშნა, რომ მეურნეობაში ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ხარვეზები და ვიწრო ადგილები. ამას მოწმობს ორი წლის დავალებათა შეუსრულებლობა ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით, სახსრების გაფანტვა, ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების ჩამორჩენა, დაუმთავრებელი მშენებლობის ზრდა. ღირებულებითი გამოხატულებით გეგმა საერთო რეალიზაციის პირობებში არ შესრულებულა მთელ რიგ სახეობათა პროდუქციის გამოშვების დავალებანი ნატურით, ირღვევა საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინა. ყოველივე ეს კი გარკვეულ ხიბლეულებს ქმნის. მათი საერთო მიზეზი ის არის, რომ საგეგმო და სამეურნეო ორგანიზაციები, გაერთიანებანი და საწარმოები თანამშრომლობენ არ ახორციელებენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შუშაობის ხარისხის გაუმჯობესების კურსს. სწორედ ამიტომ უნდა ავამაღლოთ მომთხოვნელობა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

„პლენუმზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააანალიზა მთელი რიგი ღრმა, არგუმენტირებული დებულებანი, რომელთა მიზანია უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა, ხუთწლიანი გეგმის გადახორციელება.

„ეკონომიკის განვითარებას დაჩქარების ერთ-ერთი მთავარი რეზერვი ის არის, რომ ყაირათიანად, რაციონალურად გამოვიყენოთ ყოველივე, რაც გაგვაჩნია. ის, რასაც ახალხო მეურნეობა აწარმოებს. ამ რეზერვის გამოყენება თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო საქმიანობის უმთავრესი ამოცანაა.

„აქ უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება ლითონის, განსაკუთრებით შავი ლითონის ეკონომიას. ეს ახალი საკითხი არ არის და ლითონის ეკონომიის გზებიც ცნობილია: ეს არის მეცნიერული მიღწევების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, დაგეგმვის გაუმჯობესება და ეკონომიური ბერკეტების, მათ შორის, ლითონის დაზოგვისა და ჯართის შეკრეფვის სტიმულირების უფრო მარჯვე გამოყენება. იგივე ითქმის სხვა სახეობის პროდუქციის, ნედლეულის, ელექტროენერგიის, ხათბობის შესახებაც.

„არცთუ ცოტა რეზერვია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოყენების გაუმჯობესებაში. მით უმეტეს, რომ მისი შენახვისათვის გაცილებით ნაკლები ხაშუალებანი სჭირო, ვიდრე წარმოებისათვის, რომელიც, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა ეზარდოთ. სწორედ ამიტომ ისახება ამოცანა — უფრო სწრაფად განვავითაროთ დარგები, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ პროდუქციის დროული შეგროვება, ტრანსპორტირება, გადამუშავება, შენახვა, რაციონალური გამოყენება და მომხმარებლამდე მიტანა.

„ბევრი რამ უნდა გაკეთდეს საწარმოო ხიმძლავრეთა უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის, მოწყობილობის მოცდენის შემცირებისათვის. ამ მიზნით უნდა უზრუნველყოთ მუშაობის ცვლითობის კოეფიციენტის ამაღლება, ნედლეულის მაკომპლექტებელი ნაწარმის მიწოდებაში არსებული შეფერხება, ფართოდ გამოვიყენოთ მეცნიერების მონაცემები, მოწინავეთა გამოცდილება. არადა, ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი მეორე გზას ამჯობინებს და მოიხმობს ახალ-ახალ კაპიტალ-დაბანდებებს, აშენებს ერთიდაიგივე პროფილის ახალ ჭარხნებს.

„პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი მშენებლობის საკითხის დაყენება მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა არსებული შინაგანი რეზერვებია რეალიზაციის ყველა შესაძლებლობა ამოწურულია.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ერთდროულად გვიხდება მთელი რიგი პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტა. „და მაინც, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ჩვენ წინაშე სულ უფრო მწვავედ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ დროზე მოვუყაროთ თავი რესურსებს მთავარი მიმართულებით, სწორად განვსაზღვროთ პრობლემათა გადაჭრის პრიორიტეტი, ანუ რიგითობა სახალხო მეურნეობისათვის მათი მნიშვნელობის შესაბამისად". საჭიროა არა მარტო სწორად გავანაწილოთ სახსრები დარგების მიხედვით, არამედ თავიც მოვუყაროთ ძალებსა და რესურსებს, მეცნიერებისა და ტექნიკის შესაძლებლობებს უმნიშვნელოვანეს დარგისშიდა და დარგთშორის პრობლემებზე, ამასთან ვახელმძღვანელოთ ზოგადსახელმწიფოებრივი, ზოგადსამეურნეო ინტერესებით.

უნარი, გამოავლინო ის კონკრეტული რგოლები, სადაც მინიმალური დანახარჯების ფასად მიიღებ მაქსიმალურ და სწრაფ ეფექტს, უნარი, ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტას მიუდგე საბოლოო შედეგის თვალსაზრისით — სწორედ ეს არის დაგეგმვის, და საერთოდ, სამეურნეო ხელმძღვანელის ხელოვნება. თითოეული დარგის, ყოველი სამინისტროს ხელმძღვანელის ვალია იღვწოდეს თავისი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის და რაც შეიძლება მჭიდროდ უკავშირდებდეს მათ საბოლოო სახალხო-სამეურნეო ეფექტს, დაძლიოს კუთხურობისა და უწყებრიობის ელემენტები, რაც შეიძლება ეკონომიკურად და ეფექტიანად უწყობდეს ხელს რეალურ ხაზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

„კაპიტალური მშენებლობის დარგში უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ჩქარა მოვუყოთ ძალების დაჩაქჩაქვა და სახსრების გაფანტვას. საჭიროა თავი მოვუყაროთ მათ სწორედ იმ მშენებლობათა და სიმძლავრეთა უსწრაფესი ამოქმედებისათვის, რომლებიც გაგვაზრდეინებენ ქვეყნისათვის განსაკუთრებით საჭირო სახეობათა პროდუქციის წარმოებას.

„სახოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ წარმოების დამამთავრებელი სტადიის უზრუნველმყოფი მანქანების გამოშვების ზრდას, ისეთებისას, როგორიც არის თანამედროვე კომბაინები და აგრეგატები, რომლებიც გამოიყენება მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის მოსავლის ახალგან. ხაკვების დასამუშავებელად. აგრეთვე უკვე აღებული პროდუქციის დასამუშავებელი მოწყობილობა. ეს მნიშვნელოვნად შეგვამცირებინებს დანაკარგებს.

„მეცხოველეობაში სულ უფრო გადამწყვეტი რგოლი ხდება ხაკვების წარმოების განვითარება — სარწყავი მდელოებისა და ხაძოვრების შექმნა. ფურაჟის შესანახი ხაკვების მშენებლობა, კომბინირებული ხაკვების მრეწველობის ხიმძლავრეთა დაჩქარებული განვითარება.

„დიდ დარგშორის პრობლემათაგან დღეხდეღეობით ყველაზე მნიშვნელოვანი სათბობ-ენერგეტიკული პრობლემაა. უახლოესი ათი წლის მანძილზე, როგორც პლენუმზე აღინიშნა, ქვეყნის სათბობითა და ენერგიით უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი როლი რჩება ნავთობსა და გაზს, უწინარეს ყოვლისა, ტიუმენისას. ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ წიაღისეულის კომპლექსური ათვისებისა და საწარმოო ძალების განვითარების პროგრამის პირველი ეტაპი დასავლეთ ციმბირში. ახლა საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ მომდევნო ეტაპის განხორციელების სამუშაოებს. ჩვენი დროის ამ ჭეშმარიტად დიდ მშენებლობაზე თავი უნდა მოვუყაროთ რესურსებს, კაპიტალური მშენებლობის შესაძლებლობებს, განვამტკიცოთ ეკონომიკური ღონისძიებანი მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებებით, გავაძლიეროთ მათდამი კომკავშირის, პრესის ყურადღება.

ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში კვლავაც დიდმნიშვნელოვანი ადგილი ენენება დათმობილი ქვანახშირს, რომლის მოპოვებაც 1976 წელს 746 მილიონ ტონამდე გაიზრდება. იმაში, რომ ქვეყანა ეხოდენ დიდძალ „მრეწველობის პურს" ძიძიებს, ეკანონ მიუძღვის მეშახტეთა უზარმაზარ არმიას და, უწინარეს ყოვლისა, მათს დამკვრელურ რაზმს — „მილიონერ" ბრიგადებს, რომლებიც წელიწადში მილიონ ტონა და მეტ ხათბობს იღებენ. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით განვითარდება ჰიდროენერგეტიკა და ატომური ენერგეტიკა.

„ერთი სიტყვით, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ლენინის ენით თუ ვიტყვით, იმ რგოლების გამოყოფას, რომელთა წყალობითაც მთელ ჯაჭვს ამოწევენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი საგეგმო და სამეურნეო მუშაობისათვის".

ეკონომიკის განვითარების დაჩქარების დადმნიშვნელოვანი პირობაა უმაღლესი ორგანიზებულობა — წესრიგი და დისციპლინა. სამეურნეო მუშაობის ყველა სფეროში, ყველა უბანზე — შრომის დისციპლინა, ტექნოლოგიის დისციპლინა, საგეგმო დისციპლინა. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ადმინისტრაციასთან ერთად მოწოდებული არიან თითოეულ საწარმოში, ყოველ კოლექტივში შექმნან ამისათვის „უცილებელი ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატი. კლიმატი, რომელიც წარმომშობს უფრო უკეთ, ეფექტიანად, ნაყოფიერად მუშაობის მისწრაფებას. შექმნის დისციპლინის დამრღვევებისადმი შეუწყნარებლობის ვითარებას. განსაკუთრებით მაღალია პასუხისმგებლობა ყოველი დავალების უნადო შესრულებისათვის, საგეგმო დისციპლინის, უმკაცრესი დაცვისათვის, პასუხისმგებლობა, რომელიც ყველა დონის წარმოების ხელმძღვანელებს ეკისრებათ.

გეგმა — პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია. ამისათვის, რომ ავამაღლოთ გეგმების როლი, პასუხისმგებლობა მათი შესრულებისათვის, უნდა მივაღწიოთ გეგმების განუხრელ შეწონასწორებას, მათს დროულ მომზადებასა და ფართოდ განხილვას შემუშავების სტადიაზე. მაგრამ როცა გეგმა უკვე დამტკიცებულია და კანონის ძალა აქვს მინიჭებული, გვრჩება მხოლოდ ერთი მოვალეობა — შევასრულოთ იგი, თანაც შევახარულოთ უმცირესი დანახარჯებით და საუკეთესო მაჩვენებლებით. მუშაობის შედეგების შეფასებისა და მატერიალური წახალისების გაცემის დროს უფრო მკაცრად უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული ნომენკლატურის, სამეურნეო ხელშეკრულებათა შესახებ-ები პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება. ყველგან უნდა დავამკვიდროთ ჭეშმარიტად პარტიული, შემოქმედებითი სტილი სამეურნეო მუშაობაში, სტილი, რომელიც შეუთავსებელია თავიზეგეზეობასა და საქმის გაჭიანურებასთან. შემდგომ ინსტანციებში უმაქნისი განცხადებების წერასთან, პასუხისმგებლობის ხვევებისათვის გადარალების მისწრაფებასთან.

ჩვენი დრო საბჭოთა ადამიანების ახალ-ახალი შეხანშნავი თაოსნობების დროა. ფართო ალიარება პოვა მოსკოველთა ინიციატივებმა, რომლებიც მიზნად ისახავს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ლენინგრადელთა ინიციატივამ ახალმშენებლობათა შეკვეთების ვადამდე შესრულების საქმეში. ღირსეული მოწონება პოვა ლვოველთა მუშაობამ, რომლებიც ნერკვენ ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემას, ჩელიაბინსკელთა ლითონის დაზოგვისათვის შეჯიბრებამ, როსტოველთა მეთოდმა, რომლებიც ამუამად ისე მუშაობენ, რომ ჩამორჩენილი საწარმოები არა ჰყავთ. მთელი ხალხისათვის არის ცნობილი შჩეკინოველთა მეთოდი, ზლობინის მეთოდი მშენებლობაში და მრავალი სხვა. საჭიროა ფართოდ გავავრცელოთ კარგი ინიციატივები, თანამიმდევრულად და ყოველმხრივ უზრუნველვყოთ ისინი როგორც ორგანიზაციული, ისე ხაგეგმო და მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით. სწრაფად და გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ დაბრკოლებები, რომლებიც მოწინავე გამოცდილების გზაზე გვეღობება.

ორგანიზებულობის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება დიდად არის დამოკიდებული გადაწყვეტილებათა ხარისხოვან მომზადებასა და მათი შესრულებისადმი კონტროლზე. ეს, უწინარეს ყოვლისა, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიებს, საბჭოების აღმასრულებელი ორგანოებისა და განსაკუთრებით სახალხო კონტროლის ორგანოების საქმეა.

ეკონომიკის ხელმძღვანელობისადმი პარტიულ მიდგომას ორგანულად ახასიათებს შრომითი კოლექტივების უფართესი მონაწილეობა წარმოების მართვაში, სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება, მისი საჯაროობის, ეფექტიანობის, ქმედითობის ამაღლება. ჩვენი გეგმების ბედი სამოლოო ანგარიშით წყდება შრომითს კოლექტივებში. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, და ამიტომ სწორედ აქ უნდა იყოს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი.

„საჭიროა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ საიუბილეო შეჯიბრება შრომითი შემართება და რიტმი. ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ, ᲮᲕᲐᲚ ᲙᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ. ხოლო უკეთ,—ეს ნიშნავს, უმთავრესი ყურადღება დაეუთმოთ ხარისხს, ეფექტიანობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. სწორედ ეს არის სოციალისტური ვალდებულებების, ისევე როგორც მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის სული და გული".

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყონ, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოს 1978 წლისათვის დაწესებული დავალებანი. უნდა ვიხელმძღვანელოთ დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, და მთავარი ყურადღება დაეუთმოთ იმ ამოცანებისა პრაქტიკულ გადაწყვეტას, რომ ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი, რაციონალურად გამოვიყენოთ შექმნილი ეკონომიკური პოტენციალი, თავი მოვუყაროთ კაპიტალურ დაბანდებებს უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ ობიექტებზე და დროზე გადავცეთ ექსპლუატაციოდ ძირითადი ფონდები, ყოველნაირად დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ინტენსიფიკაცია, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისა ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ მუშები, კოლმეურნეები, „სპეციალისტები, ჩვენი ხამშობლოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები 1978 წელს დამკვრელური შრომის წლად აქცევენ და ახალ წარმატებებს მიაღწევენ იმ ისტორიულ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ წამოაყენა.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ერთხულოვნად დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე და, ამრიგად, მათ კანონის ძალა მიენიჭათ.

1978 წლის გეგმა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის დავალებების რეალიზაციის დიდმნიშვნელოვანი რგოლია. იგი ითვალისწინებს ეკონომიკის შემდგომ ზრდასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. გეგმა შეიცავს ვრცელ სოციალურ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, მეცნიერების, კულტურისა და განათლების, საყოფაცხოვრო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის განვითარებას. გეგმა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ როგორ ზრუნავს პარტია მშრომელი კაცისათვის, მისი მზარდი მატერიალური მოთხოვნილებებისა და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

ჩვენ უველაფერი გვაქვს საიმისოდ, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ გეგმა: გვაქვს ძლევამოსილი ინდუსტრია და თანამედროვე სოფლის მეურნეობა, გვაქვს შესანიშნავი ადამიანები, რომლებისთვისაც ხამშობლოს აუკეთებელი უპირველესი მიზანია, მოგვეპოვება მდიდარი ბუნებრივი რესურსები. მაგრამ გეგმებინ განაღდებისათვის საჭიროა კარგად, დამკვრელურად ვიშრომოთ, კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, თვალისჩინეთით გავუფრთხილდეთ და ვამოვალოთ სახალხო დოვლათი ავამაღლოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა.

„ახლა მთავარია გავაცნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებანი თითოეულ კომეულისტს, თითოეულ საბჭოთა ადამიანს, თითოეულ კოლექტივს; ზუსტად განვსაზღვროთ, თუ კონკრეტულად რა უნდა გავაკეთონ მათ და რა ვადაში ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის; მარჯვედ და ზუსტად მოვაწყოთ ხაქმე, ეკონომიურად შევქმნათ წარმატებული მუშაობის ხელშემწყობი პირობები და უზრუნველვყოთ მიღებული გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ იდეურ-პოლიტიკური ზემოქმედების ყველა ორგანიზაციული ფორმა და ყველა საშუალება. ამ საქმეში დიდი მახხარი ინფორმაციისა და პრობაგანდის საშუალებათა როლი. ისინი მოწოდებული ეროან ღრმად და ყოველმხრივ, გასაგებად და ცხადად ამუქტდნენ ხალხის შრომისა და ბრძოლის ხიდიადეს, აქტიურად უჭერდნენ მხარს შემოქმედებითს თაოსნობიას, მოწინავე გამოცდილებას, მეწავედ აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს და ხელს უწყობდნენ მათი აღმოფხვრას, იღვწოდნენ გამოსვლების ქმედითობისათვის.

„საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ლენინური ხაზინამ და საკავო პოლიტიკამ და მოდვაწეობამ. მილიონთა პატრიოტული მოწონებაა ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ხორცი შეესხას პარტიის გეგმებს, რათა კიდევ უფრო აუკვდეს და გაძლიერდეს ჩვენი ლაღი სოციალისტური ხამშობლო.

ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ, ᲮᲕᲐᲚ ᲙᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ, ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ.

ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ

ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲡ — ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲐᲩᲘᲜᲝᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲒᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, ვიდამდე, 16 დეკემბერს გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის სახეობათა ნაწარმის გამოშვების მეათე ხუთწლედის ორი წლის გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფოთის კოლექტივებმა, როგორიცაა: ქალაქ თბილისის საწარმოო გაერთიანებანი „საქნაფთობი", „საქსამთოქმშრეწვი", „ელექტროაპარატი", „თბილისელონი", სპირტისა და ლიქიორ-არყის მრეწველობისა, კონიაკისა და ღვინის კომბინატები, „საქმარმალოს" ტრესტი, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, საინსტრუმენტო, გაზის აპარატურის ქარხნები, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალა", № 2 და № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკები და სამკერველო ფაბრიკა „ხადიკვარი", საფეიჯრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშრელი", ქალაქ ჭოთისის საავტომობილო, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების, ლითოფონის, ღვინის ქარხნები, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „ელალთი", თევზის ფაბრიკა; ქალაქ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა; ქალაქ ბათუმის ციტრუსის საწარმოო გაერთიანება; ქალაქ ცხინვალის ქარხანა „ემალსადენი"; ქალაქ ზუგდიდის ენგურის ელექტროსაგალანტერეო კომბინატი; ქალაქ ხაშურის ხეფეიჯრო-საგალანტერეო ფაბრიკა და სხვა სამრეწველო საწარმოები. (საქინფორმი).

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ შრომაში რუსთავის ამწეისაშენებელი ქარხნის კოლექტივი. მან წარმატებით გაანაღდა საიუბილეო ვალდებულებანი და ათ თვეში გამოუშვა 217 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

რუსთავში დამზადებული კოშკურა ამწეები იგზავნება საბჭოთა კავშირის ბევრ მშენებლობაზე, აგრეთვე კუბაში, ვიეტნამში, ავღანეთში, ირანსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ᲮᲘᲠᲐᲛᲔᲑᲘ: ზემოთ—კოშკურა ამწეების მოწინავე ამწეყობები (მარცხნიდან მარჯვნივ): პავლე გომეზაშვილი, ნოდარ მენაბდეშვილი და მაგარამ მამედოვი. დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის ღირსსაწყლისათვის მათ ხუთწლედის ორი წლის გეგმა შეასრულეს და ახლა 1978 წლის ანგარიშში შრომობენ. ქვემოთ.—რუსთავის ამწეისაშენებელი ქარხნის ვიტერანი, საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო შემფასებელი ნიკოლოზ ბაკულინი. იგი შრომობს ღვინოსით „საიუბილეო წელს — დამკვრელური ფილიმით"!.

ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (საქინფორმის ფოტოჭრონიკა).

ᲡᲡᲠ ᲥᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲖᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

გულითადად მოგესალმებით საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით, რომელთა არსებობას საფუძველი ჩაუყარა ვ. ი. ლენინის მითითებით შექმნილმა კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ.

ახლა ძერჟინსკის მიერ შექმნილი სახელოვანი ტრადიციები განაგრძობენ სიცოცხლეს და განვითარებას თქვენს ძნელ, მაგრამ საპატიო, ძალიან საჭირო და პასუხსაგებ მუშაობაში დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

დღეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები მოქმედებენ სსრ კ

მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობაში მეორე, შევსებულ გამოცემად გამოვიდა **მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.**

წიგნში კონკრეტული მაგალითებით არის ნაჩვენები, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელადაა დაკავშირებული მშრომელ ადამიანებთან, საბჭოთა ხალხთან, პარტიასთან. ლენინური ტიპის ხელმძღვანელი — ლ. ი. ბრეჟნევი ყველგან და ყოველთვის მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოდა და იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიადი საქმისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

წიგნი დამაჯერებლად მოწმობს, რომ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩენილი მოღვაწე — პოლიტიკური ხელმძღვანელობა იმ პლენიდან ეკუთვნის, რომლებიც გამოზარდნენ და გამოწაფრთნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დამკვიდრებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის წლებში.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მრავალმხრივი, დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობა სოციალისტური სამშობლოს, ლენინური პარტიის, კომუნისტის იდეალების უანგარო სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია.

ბიოგრაფიული ნარკვევი მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. წიგნი დაიბეჭდა მოსკოვის სტაბბა „წითელ პროლეტარში“. (საკდესი).

ინგლისსა და ამერიკაში გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევის ბიოგრაფიული ნარკვევი

ინგლის-ამერიკის გამომცემლობა „პერგამონ პრესმ“ ინგლისურ ენაზე გამოუშვა ახალი, შევსებული გამოცემა პოლიტგაგამის წიგნისა „ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი“.

გამომცემლობის თხოვნით ლ. ი. ბრეჟნევმა დაწერა შესავალი სტატია, რომელიც რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება. გამოცემას დართული აქვს ფოტოსურათები. წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე ახალი საბჭოთა კონსტიტუციის ტექსტი.

მოსკოვში ჩამოსული გამომცემლობა „პერგამონ პრესის“ პრეზიდენტი რ. მაქსველი 19 დეკემბრის მიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, იეინტერნაციონალური კომიტეტის მდივანმა ა. უ. ჩერნენკომ. საუბრის დროს ჩამოსულმა ჯ. უ. ჩერნენკოს გადასცა გამოსული წიგნის პირველი ეგზემპლარი და სთხოვა მიართვას იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს. საუბარში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის საგარეო უფლებათა საგენტოს გამგეობის თავმჯდომარე ბ. დ. პანკინი.

— დარწმუნებული ვარ, — განაცხადა რობერტ მაქსველმა, — რომ დასავლეთის ფართო მკითხველი, როცა შთამბეჭდავი ფოტოსურათებით დასურათებულ წიგნს გაეცნობა, უფრო სრულ წარმოდგენას მიიღებს იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელსაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ეწევა მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკეთილდღეოდ. ვამაყობ, რომ ამ გამოცემით შემიძლია ჩემი წვლილი შევიტანო ხალხთა ურთიერთგაგების, მათი თანამშობლობა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს. (საკდესი).

ᲙᲣᲗᲮᲚᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

დაახლოებით 30 სახეობის სხვადასხვა პროდუქციას უშვებს სამტრედიის საკონსერვო საწარმოო გაერთიანება.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულის წინ გაერთიანებამ მომხმარებელს გაუგზავნა 32 მილიონ ქილაზე მეტი ვიტამინებით მდიდარი კონსერვები.

სამტრედიელი კონსერვის დამამზადებლები პირობას დებენ, რომ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში კიდევ 10 მილიონ ქილა პროდუქციას აწარმოებენ.

სურათზე: მზა პროდუქციის საწყობში ბრიგადირი ნინო ხიდაშელი და ფუნმდებელი ნატო გიგინეიშვილი ამოწმებენ კონსერვების ხარისხს მათი გაგზავნის წინ.

ფ. პრიმხანისა და ბ. ბერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„სალუტ-6“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 19 დეკემბერი. (საკდესი). მოსკოვის დროით 14 საათისათვის „სალუტ-6“ ორბიტალმა სამეცნიერო სადგურმა 1.283-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, აქედან 129-ჯერ ეკიპაჟთან. სადგურის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 365 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 335 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,4 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ი. ვ. რომანენკოსა და გ. მ. გრეჩკოს მორიგი სამუშაო დღე დაიწყო დილის 8 საათზე. დღეკოსმონავტები განაგრძობენ კვირას, 18 დეკემბერს, დაწყებულ სამეცნიერო აპარატურისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შემზადების მეცნიერული ექსპერიმენტების პროგრამის შესრულებისათვის. სამეცნიერო აპარატურის გარდა, რომელიც მოითხოვს მის მუშაობაში კოსმონავტთა უშუალო მონაწილეობას, სადგურში დადგმულია ავტონომიური ხელსაწყოებიც, მათ შორის სადგურის გარეშე მომცველ კოსმოსურ სივრცეში მეტეორული ვითარების საკონტროლო აპარატურა. მისი მუშაობის პროცესში აღრიცხა მეტეორგრამედი მასის მიკრომეტეორულ ნაწილაკთა მოხვედრა, რომელთა რაოდენობა ეთანხმება დედამიწისზედა რადიოსალოკაციო დაკვირვებების მონაცემებს.

რადიოკავშირის სეანსების დროს მეგოლარმა და ბორტინჟინერმა გვაცნობეს, რომ სადგურის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს, ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ.

დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობა გრძელდება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

პასუხისმგებლობა — აქტიურობის სათავე

რაიკომი და პარტიული აქტივი

სიხსამი ღილა იყო, მახოს კომეულენრნობაში რომ მივედით. კომეულენრნობის გამგეობის თავმჯდომარე ლევან მჭედლიშვილი არ დაგვხვდა, ჯოროხის ჭალაში წავიდო, გვითხრა მოხუცმა დარაჯმა.

ჩვენც იქითკენ გავუყვეთ გზას. თან სოფელსა და მის შემოგარენს ვათვალიერებდით და უნებურად რევოლუციამდელი, ჯაგნარებით დაფარული, სიღარიბით დაბეჩავებული და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანებით დასახლებული ძველი სოფელი გაგახსენდა, რომლის შესახებაც უხეცესი ადამიანების ნაამბობთა ვიცოდით ზოგი რამ. როგორ შეიცვალა იგი მას შემდეგ!

...თავმჯდომარე ჯოროხის ჭალაში ვნახეთ, სოფლის თავკაცებთან და გლეხებთან ერთად მდინარეს ეპაჭურებდა. მთაში ჩამოთოვა, ინვები მომძლავრდა, ამის გამო ჯოროხი დაპატარავდა. წინა წლეში მახოროლებმა ჯოროხს 13 ჰექტარი შესანიშნავი საბოსტნე მიწა ამოსტაცეს. არც ამას დასჯერდნენ. ისინი ახალი ბრძოლისათვის მზადებოდნენ. ახლა ათვალიერებენ, რომელ უბანზე შეეფეროპინთან მდინარე. მოთარეშე ჯოროხს მართლაც რომ ასეულობით ეტარი ჭალა აქვს ოაგარქმნილი. ორო საშუალა. ყველაფერი გაბახულოს ლანჭრის დაწყებამდე ნებად მოსაწერნ.

ჭალიდან სოფელ გავხედე. ფერდობზე შეფენილი ციტრუსის ალები დიდებული სანახავი იყო, ორმ ნერგებს თითქოს თეთრი ალბები მოეხურავთო, ერთიანად ალოვანი იყო გაბეიული. ჭოროხს ხეობაში ზამთარი უფრო მკარია, ვარი განუწყვეტლივ უბერავს, ამიტომაც მახოლებს ორმ ბრმა ეალში, გარჯას ათმაგად ანაზღაურებს.

ხელვაჩაური მცირემიწიანი რაონია. აქ ყოველი გოჯი მიწა ოქროს ფასობს. მახო მთის სოფელია. მიუხედავად ამისა, აქაურებმა ჩაის კრეფის გეგმა 141 ჰექტარით შესრულეს. ასევე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღეს ციტრუსის კრეფის გეგმაც. ალოვანიობაში თითოეულ ფუნტზე საშალო წვალდობამ 3000 ალოგრამს გადაჭარბა...

სოფელ მახოს თავკაცნი ლ. ალდანიშვილნი ამიტომაც შეიჭეფით, რომ იგი რაიკომის წევრი ა. აქტივისტია. საბედნიეროდ, იგი ითანერთი როდია, უნარიანი ხელმძღვანელობით დიდი საქმეების სასრულებლად მშრომელები ამ ალიყოლია. რაიკომის სხვა ერებიც. მაგალითად, ჩაისუბნნი, ალშენნ, ურეხის კალმეურნეობა თავმჯდომარეები: მ. აბაშიძე, თურმანიძე, ა. ბარამიძე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჭაძე. ახაბრის საშალო სკოლის ალაზრდა დირექტორი რ. ჩავიშვილი და ალდე ბეკი სხვა მენსტაკი პრაქტიკულ საქმეში ალგად იჩენს ამ უნარს.

უკანასკნელ წლებში სოფლად დი თვისებრივი ძვრები მოხდა. ჩაონის პარტიული ორგანიზაცია მისი შტაბი — პარტიის რაიმი ითვალისწინებენ ამ მდგომარეობას და მუშაობას პარტიის წინასწარდასახულობათა შესაბამისად წარმართავენ. ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში ძირითადი დასაყრდენია ალტიკი, კომუნისტები. ისინი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი ადამიანთა ალმოსაბ ბრძოლის ავანგარდში დგანან, სწორად წარმართავენ ადამიანთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტიურობას.

ამიტომაც რაიონის საწარმოებში, მეცნიერებლობებზე, კოლმეურნეობებში, ყველგან დაძაბული მუშაობა გაჩაღებული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, საიუბილეო წლისა და მთელიანად მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესასრულებლად. ამ საქმეში მთავარ როლს ჩვენი პარტიული აქტივისტები — რაიონული კომიტეტისა და სარეგიზიო კომისიის წევრები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, იდეოლოგიური დარგის სხვა მუშაკები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ასრულებენ. სულ არჩეგითს პარტიულ ორგანოებში 1000-ზე მეტი კაცი მუშაობს.

ამისათვის, რომ აქტივისტებმა წარმატებით შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა, პრაქტიკულად ვეხმარებით მათ, თავის მხრივ აქტივისტები მხარნი ეწდგანან რაიონულ კომიტეტს, მონაწილეობენ პერსპექტიული გეგმების შედგენაში, შემოაქვთ საქმეში ნინადაღებები და მრავალი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორები არიან. მოვიყვან ერთ მაგალითს: ხელვაჩაურის კოლმეურნეობას სარეზერვო ყამირი მიწები არა აქვს, ცხოვრება კი მოითხოვს წინსვლას, და ეი სოფლის მშრომელები დაიარაზმნენ, აითვისეს მთა „ალფაზონი“. მთის თხემზე აიყვანეს საავტომობილო გზა. სულ მალე 40 ჰექტარ ნაყოფიერ მიწაზე ჩაის პლანტაცია გაშენდა.

ჩვენი მეჩაიეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ქუთაისში გამართულ მეჩაიეთა რესპუბლიკური თათბირის მოწოდებას — ვებრძოლოთ სიმეჩხრეს ჩაის პლანტაციებში. შარშან შემოდგომა-ზამთრის პერიოდში და მომდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენთან ამ მხრივ ბევრი ღონისძიება განხორციელდა. სუპერფოსფატი პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაციის ინიციატორი გახდა ჩაისუბნის კოლმეურნეობა, რომელსაც აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. აბაშიძე უდგას სათავეში. ჩაისუბნელებმა მატერიალურ-სტიმულირების გამოყენებით თითოეული გახარებული ნერგისათვის გარკვეული თანხის დაწესების გზით დიდი წარმატება მოიპოვეს. ამ ინიციატივას მთელი რაიონი გამოეხმაურა და ახლა ხელვაჩაურის ჩაის პლანტაციებში სიმეჩხრე ლიკვიდირებულია. 521 ათას ჰექტარ მეტრზე, რაც ადადგარიშებით 80 ჰექტარ პლანტაციას უდრის, გარდა ამისა, აღდგენილია 40 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. მეჩაიეებს არც მეცატრუსეები ჩამორჩენენ. მათ თავიანთ ბაღებში 168 ათასი ძირი ნერგი დარგეს, ეს 150 ჰექტარზე მეტი ციტრუსის ახალი პლანტაციაა. სწორედ ასეთი რეზერვების ამოქმედებით ვფიქრობთ მოსავლიანობის გადიდებას.

ჩვენი პარტიული და სამეურნეო აქტივი მხურვალედ გამოეხმაურა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის დადგენილებას, რომლის შესაბამისად მნიშვნელოვნად გარდაიქმნა რაიონში მეცხოველეობის მართვის სისტემა. კოლმეურნეობებში ხორციელდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმების სპეციალიზაცია. შეიქმნა საკოლმეურნეობათშორისო მეცხოველეობის სასუქი და საჯიშე პირუტყვის გამოსაზრდელი კომპლექსები, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. ერთიორად შემცირდა საკვების დანახარჯი წარმოებულ პროდუქციაზე, შესაბამისად შემცირდა თვითღირებულებაც. სპეციალიზაციის სიკეთეზე განსაკუთრებით თვალნათლივ მეტყველობს მეცხოველეობის როგორც შარშანდელი, ისე წლევანდელი წარმატებები.

ამ სასიკეთო ძვრებში დიდია კომუნისტების და სპეციალისტების წვლილი. მათ შორის მინდა აღვნიშნო რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსის ვ. შენგელიას, გიორგიანეკი „რაიცხოველმრეწვის“ უფროსის, ახალგაზრდა სპეციალისტის გ. მორგაშიძის, მეცხოველეობის ჯიშთამაშენე მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსის, ახალგაზრდა კომუნისტის გ. ბალაძისა და სხვების ღვაწლი.

პარტიის რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პარტიული აქტივის სწავლებას. ამ მიზნით რაიკომთან მოქმედებს პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლა. ხშირად იმართება სემინარები, თეორიული და პრაქტიკული კონფერენციები. ამას წინათ მოეწყო საინტერესო სემინარი, რომელზეც მსმენელებს თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა რაიკომის წევრმა, ურეხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბარამიძემ. პარტიული აქტივისათვის ივლისში გაიმართა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების წლისთავს მიეძღვნა.

პარტიული აქტივი უკეთ წარმართავს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას, რასაც კარგი შედეგი მოჰყვა. წარმატებით დავამთავრეთ საშეურნეო წელი, მეჩაიეებმა მოიწყვეს 17.497 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 130 პროცენტია.

წლევანდელისთანა მოსავალი მეციტრუსეებს არასდროს არ ჰქონიათ. გეგმა ითვალისწინებდა 28.342 ტონას. ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ოქტომბრის საიუბილეო დღეებში ჩვენმა მეციტრუსეებმა ვალდებულება იკისრეს მოეკრიფათ 40.000 ტონა. ეს ვალდებულებაც ვალდებულების გადამეტებით კიდევ მოვკრიფეთ 5000 ტონაზე მეტი.

ხ. ინაიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივანი.

სსრ კავშირის საბჭოთა უშიშროების ორგანოების ᲛᲔ-60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

საბჭოთა ხალხმა, ყველა ქვეყნის კომუნისტებმა, მსოფლიოს პროგრესულმა ადამიანებმა ფართოდ და ზეიმით აღნიშნეს მე-60 წლისთავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ერას — სოციალიზმისა და კომუნიზმის ერას. იუბილეს წინ ეს ისტორიული მოვლენა აღინიშნა ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებით, რომელიც მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებათა ნამდვილ მანიფესტად გაიგმა.

ჩვენი, ქვეყნის ბევრ გამარჯვებაში ჩაჭსოვილია ჩეკისტების რამდენიმე თაობის დიდი შრომა. ჩვენი საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების ყველა ეტაპზე ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ბევრი თანამშრომელი უყოყმანოდ სწირავდა სიცოცხლეს, ღვრიდა სისხლს დიადი და სამართლიანი საქმისათვის.

და რაც უფრო მეტი დრო გადის ოქტომბრის ლეგენდარული ამბებიდან, მით უფრო დიდებულად წარმოგვიდგება ამათი მგრობა, ვინც თანამედროვე ეპოქის გენიალური მოაზროვნისა და უდიდესი რევოლუციონერის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით რაზმავდა და მიუძღოდა მასებს კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლოდ, სძარცველს უყრიდა სოციალიზმს, კლასობრივ მტერთან მძიმე ბრძოლებში დაიცვა მსოფლიოში პირველი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო.

სახელოვან რევოლუციონერ-ლენინელთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, რევოლუციის ერთგულ რაინდს, პირველ ჩეკისტს ფ. ე. ძერჟინსკის. რომლის დაბადების შესახებ წლისთავი მიმდინარე წლის სექტემბერში აღინიშნა.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სამოცი წელი ჩვენი საშობლოს უშიშროებისათვის, ხალხის საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლის სამოცი წელია. დამსობილი ექსპლოატატორული კლასები საერთაშორისო ბურჟუაზიის ფინანსური, სამხედრო, პოლიტიკური და მორალური დახმარებით გაფურჩქნულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. კაცობრიობის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა პროლეტარული სახელმწიფოს მოხსნის მიზნით მათ სამოქალაქო ომი გაანალეს. შეთქმულებებს, პროვოკაციებს, ჯაშუშობას, მავნებლობას, დივერსიებს, საბოტაჟს, ტერორსა და ძარგამომთხრელი საქმიანობის სხვა რა ფორმას არ მიმართავდნენ შინაგანი კონტრრევოლუცია, იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობები და მათი დაზვერვები ჩვენს ქვეყანაში ძველი, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენისათვის.

უცხოელ ინტერვენტთა და შინაურ კონტრრევოლუციონერთა გაფთრებულ შეიარაღებულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ წინააღმდეგობას, ეკონომიკის დეზორგანიზაციას, და საბოტაჟს, სისხლიან ბურჟუაზიულ ტერორს, მუშათა კლასმა მაღალი ორგანიზებულობა და შეგნებული დისციპლინა. თავისი პარტიის გარშემო შეკავშირება და რევოლუციური სიფხიზლე დაუპირისპირა. საჭირო იყო გამეფოული ღონისძიებანი რეაქციის შემოტევის მოსაგერიებლად. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ისეთი ორგანო, რომელსაც შეთქმულთა ყოველი ნაბიჯი იცოდნენებოდა და, მუშათა და გლეხთა თანაგრძნობით, დაუნდობელი, სწრაფი და დაუყოვნებელი „რევოლუციით“ აღკვეთდა კონტრრევოლუციის ყოველგვარ ხრიკებს.

ასეთი ორგანო გახდა 1917 წლის 20 დეკემბერს შექმნილი სრულიად რუსეთის კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისია — ჩეკა, რომლის სათავეში პარტიამ ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი დაუყენა.

თავისი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას მოუხდა შებმოდა კონტრრევოლუციას, აჯრეთვი იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვებს, რომლებსაც მზვერავთა კვალიფიციური კადრები ჰყავდათ და ძარგამომთხრელი საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. საგანგებო კომისიას არ ჰყავდა, და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა კონტრდაზვერვის ხელოვნების მცოდნე გამოცდილ კადრები. პირველი „კონტრმზვერავი ჩეკისტები გახდნენ პროფესიონალი რევოლუციონერები და რევოლუციის საქმის ერთგული შუშები, მშრომელი ვლეხობა, ჯარისკაცები და მატროსები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ გაგზავნა საბჭოთის რესპუბლიკის უშიშროების დაცვის ორგანოებში სამუშაოდ.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა და გლეხთა ყოველდღიური დახმარებით, სრულიად რუსეთის საგანგო კომისიის ორგანოებმა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ომისშემდგომ წლებში გამოავლინეს და მოსპეს ასობით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია და შეთქმულება, გააუვნებლეს ათასობით ჯაშუში, დივერსანტი, ტერორისტი და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა მტრები, მათ შორის ისეთი უდიდესი კონტრრევოლუციური ორგანიზაციები, როგორიც იყო „სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის კავშირი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მემარჯვენე ესერი ბორის სავინკოვი, „ეროვნული ცენტრი“, ინგლისელი ჯაშუშების ლოკარტის, დიუქსისა და სხვათა შეთქმულებანი.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, რომელიც თავის ძირითად ფუნქციებს ასრულებდა და შეურიგებლად ებრძოდა გარეშე და შინაურ კონტრრევოლუციას, ამავე დროს მრავალ სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეში მონაწილეობდა.

საყოველთაოდ ცნობილია ჩეკისტთა პუმანური მისია, როცა ფ. ე. ძერჟინსკის მეთაურობით პარტიამ მათ დაავალა ბავშვთა უპატრონობის — იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების დამლუპველი შედეგის — ლიკვიდაცია. ჩეკის თანამშრომლთა და პირადად ფელიქს ედმუნდის ძის თავდადებულ და მტკიცე მოქმედების წყალობით ხუთი მილიონი ბავშვი იხსნეს შიმშილისაგან, ავადმყოფობისა და დამნაშავეობისაგან, ისინი, სახეობთა საზოგადოების აქტიური მშენებლები გახდნენ. და ეს მობდა ოსურსსიობისა და ყოველდღიური გაჭირვების ვითარებაში. ხშირად ჩეკისტი ბავშვების უნაწილებდა თავის ღარიბულ ულუფას, თავისი ფარაჯის ქალთით იფარავდა სიცივისაგან შიშველ-ტიტველ ყმაწვილებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა თავრობის უდიდესი სიფხიზლის, ჩეკისტთა თავდადებული საქმიანობის მეოხებით გაცურდა იმპერიალისტთა იმედი, რომ ფეძლებდნენ ჯაშუშობის, დივერსიის, ამბოხების, ბანდიტიზმის საშუალებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით სულ უფრო ძლიერდებოდა.

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ეერგოლმა თავდასხმამ შეწყვიტა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ამშენებლობითი შრომა, პირველ პლანზე დააყენა სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვის საკითხები.

მტრის მასირებულ დარტყმას ნაბიჯ-ნაბიჯ ეგებოდნენ ჩვენი ხალხის მშვიდობიანი ამშენებლობითი შრომა, პირველ პლანზე დააყენა სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვის საკითხები.

მტრის მასირებულ დარტყმას ნაბიჯ-ნაბიჯ ეგებოდნენ ჩვენი ხალხის მშვიდობიანი ამშენებლობითი შრომა, პირველ პლანზე დააყენა სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვის საკითხები.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების სამოცი წელი ჩვენი საშობლოს უშიშროებისათვის, ხალხის საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლის სამოცი წელია. დამსობილი ექსპლოატატორული კლასები საერთაშორისო ბურჟუაზიის ფინანსური, სამხედრო, პოლიტიკური და მორალური დახმარებით გაფურჩქნულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. კაცობრიობის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა პროლეტარული სახელმწიფოს მოხსნის მიზნით მათ სამოქალაქო ომი გაანალეს. შეთქმულებებს, პროვოკაციებს, ჯაშუშობას, მავნებლობას, დივერსიებს, საბოტაჟს, ტერორსა და ძარგამომთხრელი საქმიანობის სხვა რა ფორმას არ მიმართავდნენ შინაგანი კონტრრევოლუცია, იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობები და მათი დაზვერვები ჩვენს ქვეყანაში ძველი, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენისათვის.

უცხოელ ინტერვენტთა და შინაურ კონტრრევოლუციონერთა გაფთრებულ შეიარაღებულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ წინააღმდეგობას, ეკონომიკის დეზორგანიზაციას, და საბოტაჟს, სისხლიან ბურჟუაზიულ ტერორს, მუშათა კლასმა მაღალი ორგანიზებულობა და შეგნებული დისციპლინა. თავისი პარტიის გარშემო შეკავშირება და რევოლუციური სიფხიზლე დაუპირისპირა. საჭირო იყო გამეფოული ღონისძიებანი რეაქციის შემოტევის მოსაგერიებლად. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ისეთი ორგანო, რომელსაც შეთქმულთა ყოველი ნაბიჯი იცოდნენებოდა და, მუშათა და გლეხთა თანაგრძნობით, დაუნდობელი, სწრაფი და დაუყოვნებელი „რევოლუციით“ აღკვეთდა კონტრრევოლუციის ყოველგვარ ხრიკებს.

ასეთი ორგანო გახდა 1917 წლის 20 დეკემბერს შექმნილი სრულიად რუსეთის კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისია — ჩეკა, რომლის სათავეში პარტიამ ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი დაუყენა.

თავისი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას მოუხდა შებმოდა კონტრრევოლუციას, აჯრეთვი იმპერიალისტური სახელმწიფოების დაზვერვებს, რომლებსაც მზვერავთა კვალიფიციური კადრები ჰყავდათ და ძარგამომთხრელი საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. საგანგებო კომისიას არ ჰყავდა, და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა კონტრდაზვერვის ხელოვნების მცოდნე გამოცდილ კადრები. პირველი „კონტრმზვერავი ჩეკისტები გახდნენ პროფესიონალი რევოლუციონერები და რევოლუციის საქმის ერთგული შუშები, მშრომელი ვლეხობა, ჯარისკაცები და მატროსები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ გაგზავნა საბჭოთის რესპუბლიკის უშიშროების დაცვის ორგანოებში სამუშაოდ.

სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე

ა. ინაური,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგანგებო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

პირველმა შეუშვერეს მკერდი ჩეკმა მამაცმა ჩეკისტებმა, — მესაზღვრეებმა, ეს უმამაცესით ეაკაცობა და გმირობა გამოიჩინეს.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ბრწყინვალე და დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლის გმირულ მატიანეში.

ამ პერიოდში აჭარა შეიარაღებულ ბრძოლასთან ერთად მიმდინარეობდა გააფთრებული ფარული ომი, რომელიც მასშტაბითა და დაძაბულობით უბადლო იყო მსოფლიო ისტორიაში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სახელმწიფო უშიშროების ორგანოს დაუსახეს საბრძოლო ამოცანა — მთელი თავიანთი ძალებისათვის თავი მოეყარათ ჰიტლერული გერმანიის დაზვერვის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყოველნაირად დახმარებოდნენ შეიარაღებულ ძალებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში, დაეცვათ საბჭოთა ჯარები და ზურგი ჯაშუშებისაგან, დივერსანტებისა და ტერორისტებისაგან.

ამ მუშაობაში, ისევე როგორც სხვა დიდნაწილნელოვან სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ჩეკისტები. ისინი წარმატებით იბრძოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანიის შემოსევის წინააღმდეგ. მარტო 1942-1943 წლების მახვილზე ფაშისტურმა სადაზვერვო ორგანომ „ციველნბმ“ საქართველოში შემოგზავნა კარგად შეიარაღებული და ეკიპირებული სამსახურების ბევრი ძარგამომთხრელი აქცია, აბჯილეს და გააუვნებლეს მრავალი გამოცდილი მზვერავი და აგენტი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიოდნენ ეცხოელი სპეციალისტი კომერსანტების, გამოფენების თანამშრომლების, ტურისტებისა და სხვათა ნიღბით.

სსრ კავშირიდან გაამეევეს კაპიტალისტური ქვეყნების ათობით დიპლომატი და კორესპონდენტი, რომლებიც საჯაშუშო და სხვა ძარგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

გარკვეული წვლილი ამაში საქართველოს ჩეკისტებმაც შეიტანეს.

არც ერთი დღით არ ცხრება სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ბრძოლა კაპიტალისტური სპეცსამსახურების ხრიკების წინააღმდეგ. განსაკუთრებით გამწვავდა იგი იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიის დარგში — ეს არის ანაფეული მოქმედების მთელი სისტემა, რომლის მიზანია შეგნიდან სოციალისტური ქვეყნების [illegible] [illegible] [illegible]

„კომუნისტის“ კონტროლზეა

მშრომელთა წერილები

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსი შ. ცინცაძე ტელეფონით ესაუბრება უბნის დისპეტჩერს. არკვევს — მატარებელი ცხინვალ-ბორჯომი გრაფიკის მიხედვით მოძრაობს თუ არა. დისპეტჩერ ვ. ნასიბაშვილის პასუხი ოთახში გარკვევით ისმის.

— დღეს, 15 დეკემბერს ამ მატარებელს დაგვიანება არ ჰქონია, მაგრამ სხვა დროს ყოფილა შემთხვევები.

ვ. ნასიბაშვილი განმარტავს დაგვიანების მიზეზს. გომიდან გაშურამდე ერთლიანდაგიანი ხაზია, მატარებელი სოჭი-თბილისი ხშირად იგვიანებს. დისპეტჩერები ცდილობენ ჯერ შორიდან მომავალი მატარებელი გაატარონ. ამიტომ გომში ხაზს უკვეთავენ ცხინვალის მატარებელს. აჩერებენ მას 10-15, ხან 20-50 წუთსაც.

განყოფილების უფროსი ტელეფონით ახლა სხვი მუშაკს ელაპარაკება.

— მოამზადეთ სპეციალური ბრძანება და გააცანით ყველა დისპეტჩერს. თუ დღეის შემდეგ ცხინვალ-ბორჯომის მატარებელს ვინმე ხელს შეუშლის და ამოგიგებს გრაფიკიდან, მოიხსნება სამუშაოდან.

ასეთი ბრძანება დაიწერა ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საშუალო სკოლის მასწავლებლის ვახტანგ ენჯიბაძის, დავით კუტუმბეგოვის, ეფიმე ლომძილის, ბაბილინა ლალუაშვილის, გიორგი შუბითაძის, ალექსანდრე ქუთელის, მარიამ ლომძილის მიერ რედაქციაში გამოგზავნილი საჩივრის გამო.

ავტორები ხაშურში ცხოვრობენ და ქვიშხეთის საშუალო სკოლაში მუშაობენ. სწავლა დილით 9 საათზე იწყება. ზემოაღნიშნული მატარებელი ხაშურიდან ადგილობრივი დროით დილის 8 საათსა და 30 წუთზე უნდა გავიდეს. თუ არ დაიგვიანა, მასწავლებლები სკოლაში სწავლის დაწყებამდე 20 წუთით ადრე მივლენ, მაგრამ უბედურება სწორედ ის არის, რომ სამგზავრო ცხინვალ-ბორჯომი ხშირად იგვიანებს.

ზომები მიღებულია. პედაგოგებს მწვანე გზა ექნებათ.

ზთის მცხოვრებთ მომარაგება გაგვიუმჯობესდა. შორს წასვლა აღარ გვჭირდება, ადგილზე ვიძენთ პირველი მოთხოვნილების საქონელს, მაგრამ არის ერთი მოუგვარებელი საკითხი, სწორედ ამაზე გვსურს თქვენი ყურადღების შეჩერება, — გვწერდა ჩვენი მკითხველი ს. ჯაფარიძე, ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთიდან.

იმის გამო, რომ ამბროლაურის რაიონში ტარის მიმღები პუნქტი არა გვაქვს, ბორჯომის წყალი 20 კილომეტრ გვიჯდება. გამყიდველი ტარის არ იბარებს და იძულებული ვართ ყოველ მისვლაზე ტარიანად შევისყიდოთ. ხუთასი ბოთლი დაგვიგზავნა ოჯახში, არ ვიცი, სად წავიღო, ასეა სხვა ოჯახებშიც.

„ცნობის ფურცელში“ თუ სხვა გაზეთებში ბევრჯერ წამიკითხავს მინის ტარის ჩაბარების თაობაზე მოსახლეობისადმი მიმართვა, ჩვენთან კი ტარა გაუფასურებულია.

ამ საკითხთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტი დაუკავშირდა ამბროლაურის რაიკავშირის თავმჯდომარეს ა. კობახიძეს, რომელმაც კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტის სისწორე დაგვადასტურა, თან განგვმარტა, რომ ეცკავშირის გამგეობამ იმსჯელა წარმოებისათვის ბოთლების მოწოდებაში არსებულ ნაკლოვანებებზე და მდგომარეობის გამოსასწორებლად მიიღო შესაბამისი დადგენილება. მიმდინარეობს ქუთაისის ტარის ბაზის გამსხვილება, გაერთიანებად გარდაქმნა. ამ ღონისძიებების შედეგად დასავლეთის ყველა რაიონს, მათ შორის ამბროლაურსაც 1978 წლის აპვნიდან ექნება ტარის საკუმანო, რომელიც შეავსებს ქუთაისის ტარის გაერთიანებაში. მინის ტარის დროული მიწოდება ხელს შეუწყობს კვების მრეწველობის შესაბამის საწარმოთა შეუფერხებელ მუშაობას.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საწარმოო სამმართველოს უფროსი ამხ. ვ. მუმლაძე გვატყობინებს, რომ მკითხველების ჯ. მაღლაფერიძის, ღ. ხიხარულიძის და სხვათა ჩვენს მიერ გადაგზავნილი სიგნალი აბასთუმნის ქ. № 8 სახლისა და მისი ახლომდებარე კორპუსების არადამაკმაყოფილებელი წყალმომარაგების შესახებ დადასტურდა. ჩვენს მიერ მიღებული ღონისძიებების შემდეგ ეს სახლები წყალს ნორმალურად ღებულობენ.

ჯიათურის რაიონის სოფელ თაბაგრების მცხოვრებლები ს. თაბაგარი, გ. ყავალაშვილი და სხვები გვწერდნენ, ჩვენს სოფელში გზა უვარგისია და მაღაროელებს სამუშაოზე საარული უჭირთო. რედაქციამ ეს წერილი პარტიის ჯიათურის საქალაქო კომიტეტს გადაუგზავნა ზომების მისაღებად.

— თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, — გვწერს საქართველოს კომპარტიის ჯიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ნოზაძე, — რომ სოფელ თაბაგრების ხავტომობილო გზა შეკეთდა. აღდგენილია ავტობუსების რეგულარული მოძრაობა. სამთამადნო კომბინატის მაღაროს მუშების ღამის ცვლებში გადასაყვანად დანიშნულია მორიგე ავტობუსები. მანგანუმის სამთამადნო კომბინატმა 1978 წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული აქვს სოფელ თაბაგრების ხავტომობილო გზის კაპიტალური შეკეთება.

გარდა ამისა, რედაქციას სამეგრელოს, ამომწურავი პასუხი გასცეს: გურჯაანის რაიონიბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ნასარიძემ — მკითხველ ა. მახარაშვილის წერილზე.

თბილისის 26 კომისრის რაიონიბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კობახიძემ — ჩვენი გაზეთის მკითხველების: მინდიაშვილის, კანდელაკის და სხვების კოლექტიურ წერილზე.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ა. გოშაძემ — მკითხველ ვ. გარჩილაძის წერილზე.

ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე

„კომუნისტის“ 15 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი — „სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე“, რომელიც მრეწველობაში ახალი ტექნიკის ათვისებას, ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხო წარმოებას და შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხებს ეხებოდა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ვარდოშვილი რედაქციას ატყობინებს:

— უკანასკნელ ხანს ხაშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხო შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხს. შემუშავებულია შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გაუმჯობესების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმები.

გასულ წელსა და შემდინარე წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მძიმე ხელის სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დასანერგავად. მაგალითად, ავჭალის სილიკატური საკეღლე მასალების და საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხნებში დამონტაჟებულია და ამუშავდა აგურის მომსხსნელი და ვაგონზე დასაწყობი ავტომატები, ხოლო თბილისის კერამიკულ კომბინატში ფილების დიდ წარმადობის ავტომატური კონვეიერის ხაზი. ამ ღონისძიებებმა შეამცირა მძიმე ხელის სამუშაოები.

სამინისტროს საწარმოები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან აღნიშნული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხების დანიშნულებისამებრ ათვისებას.

საგჯოთა მეცნიერების აღმოჩენა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში რეგისტრაციაში გაატარეს ვორონეჟის ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის მეცნიერების — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. ვ. ზემსკოვისა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ვ. ჟურავლიოვის აღმოჩენა. მათ თეორიული და ექსპერიმენტული კვლევით დაადგინეს მალალი მოლეკულური წონის მქონე შრატის ცილების — ანტისხეულების აქტიურობის აქამდე უცნობი ინჰიბირების, ანუ ჩაბნობის, მოვლენა. ანტისხეულები ორგანიზმს იცავენ ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობებისაგან და ამავე დროს გარკვეულ პირობებში შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მის ორგანოებსა და ქსოვილებზე. თუ სისხლში არსებული ინჰიბიტორი ებრძვის მიკრობსაწინააღმდეგო ანტისხეულების აქტიურობას, მაშინ მცირდება ორგანიზმის წინააღმდეგობა ინფექციებისადმი. ხოლო თუ იგი ებრძის ქსოვილებისა და ორგანოების წინააღმდეგ მიმართული ანტისხეულების აქტიურობას, მაშინ იგი დადებითად მოქმედებს.

აღმოჩენის მეცნიერული მნიშვნელობა, კერძოდ, ის არის, რომ იგი ორგანიზმში იმუნოლოგიური პროცესების განვითარების მიმდინარეობაზე ზეგავლენის ახალ გზებს სხავს.

აღმოჩენის პრაქტიკული მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ინჰიბირების მოვლენის გაგება აფართოებს მეცნიერულ წარმოდგენას ანტისხეულების აქტიურობაზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკისა და სამკურნალო და დიაგნოსტიკური შრატების წარმოებისათვის.

ამჟამად აღმოჩენის შედეგებს იყენებენ ვორონეჟის ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებში.

ი. ზუევი,
საკლესის კორ.
მოსკოვი

1977 წლის 20 დეკემბერს, დღის 3 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საქმენ დარბაზში (რუსთაველის პრეზიდიუმი, 29) გაიმართება თეორიული კონფერენცია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სტატიის „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“ პრობლემების მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ეფექტურობის სფეროში — სახელმწიფო ნესრიგი!

ყველიფერი სრულდება, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისა და მოსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების ვრცელი ღონისძიებანი დასახა. ბევრი რამ უკვე განხორციელდა, ბევრი ხორციელდება. გაფართოვდა ობიექტების ჯსელი. განმტკიცდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა ბოსტნეულისა და ხილის ვაჭრობა, საკოლმეურნეო ბაზარზე გაიაფდა პროდუქტები და სხვა. მაგრამ ნელი ტემპით მიმდინარეობს დარღვევათა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა. ვისაც ეკისრებოდა ამ ბრძოლის წარმოება, მათ ყველგან როდი გახადეს იგი თვითანთი განსაკუთრებული ზრუნვის საგნად, როდი მონახეს პოზიტიური ძვრების გაღრმავებისა და განვითარების ეაშუალებები, საქმე თვითდინებაზე მიუშვეს.

საქართველოს ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, გაღრმავდეს და გაფართოვდეს ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ საქმიანობის ხელმძღვანელობისა და კოორდინაციისათვის შექმნილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური რესპუბლიკური კომისია.

ახალი ძალით ჩაღდება მუშაობა მომსახურების სფეროში ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოფხვრისა და სახელმწიფო წესრიგის დამყარებლად. ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ სახელმწიფო და საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებს.

რამდენიმე თვის წინათ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მომსახურების სფეროში საბელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ამ დარგების ობიექტებს მუშაობას ამოწმებენ

დადგენილებით დასახული ძირითადი ამოცანებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების პირველ შედეგებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვაჭრობისა და ფინანსების განყოფილების გამგეს ლ. სადუნაშვილს რამდენიმე კითხვით მივმართეთ. ვბეჭდავთ მასთან საუბარს:

— რა მიგაჩნიათ აღნიშნული დადგენილების მთავარ ღირსებად?

— მისი მთავარი ღირსება და, მე დავძენდი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ, ჯერ ერთი, იგი წყვეტს, აკონკრეტებს, აწესრიგებს და სამართლებრივ საფუძველს უქმნის მომსახურების სფეროს, კერძოდ, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგების დღემდე მოუგვარებელ ზოგიერთ საკითხს; მეორე, იგი ნაკარნახევია ჩვენს საზოგადოებრივი ცხოვრებით და მთლიანად გამომდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებებიდან; მესამე, აძლიერებს შემმოწმებელთა და შემოწმებულთა პასუხისმგებლობას.

— როგორია ამ დოკუმენტის ძირითადი მიზანი?

— მომსახურების სფეროში ნამდვილი სახელმწიფო წესრიგის დამყარება. მოგეხსენებთო, თუმცა უკანასკნელ წლებში მრავალი ღონისძიება განხორციელდა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დარღვევებს ჯერ კიდევ არ ებრძვიან მთელი სიმწვავით, ბევრ ობიექტზე ხშირია მომხმარებლისა და შემკვეთის მოტყუება, ვაჭრობის წესების, სახელმწიფო საცალო ფასებისა და ტარიფების უხეში დარღვევის შემთხვევები.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოწყობილი შემოწმების ხარისხსა და შედეგიანობას. მრავალ ობიექტზე ჯეროვნად არ აფასებენ საკონტროლო ყურნალის როლს, ზოგჯერ ისინი ფორმალურად არსებობს — შიგ არ წერენ შემოწმების შედეგებს. ეს იყო აღნიშნული დადგენილებაში. და მართლაც, ბათუმის № 25 კიოსკის საკონტროლო ჟურნალში შემოწმების შედეგების ჩანაწერები არ გაკეთებულა 1974 წლის აპრილიდან, № 163 კიოსკში—1976 წლიდან, № 45 მაღაზიაში — 1976 წლის აპრილიდან, № 68 მაღაზიაში — 1977 წლის იანვრიდან. დადგენილების მიღებიდან ხუთი თვე გავიდა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თბილისის „პირიმზის“ საპარიკმახერო გაერთიანების ქვეშ მოქმედებენ რვაჯერ ეწვევნენ, ჟურნალში კი მხოლოდ ერთია სათანადოდ ფიქსირებული. ასეთი მოქმედების მიღმა ხშირად შემოწმებულსა და შემმოწმებელს შორის ბნელი გარიგება იმალება. მაგრამ, სადაც წერენ, იქ ობიექტების ხელმძღვანელები ყოველთვის არ ამდგენენ მათზე რეაგირებას. ეს კი შეუწყნარებელია, უარყოფთ გაფლენას ადენს დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაზე.

— მდგომარეობის ძირფესვიანი გაუმჯობესების შესახებ დადგენილება ვის აკისრებდა ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას?

— რესპუბლიკის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, ეცკავშირის გამგეობას, სხვა სამინისტროებს და უწყებებს, რომლებსაც სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები აქვთ. მათ დაევალათ შეიმუშავებინათ და განეხორციელებინათ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ დარღვევებთან და დანაშაულობასთან ბრძოლაში მკვეთრ გარდატეხას, აამაღლებდნენ შემოწმების ხარისხისათვის იმ ორგანიზაციათა და პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც აკონტროლებენ მუშაობას, მკაცრად მოსთხოვდნენ პასუხს მუშაკებს, რომლებიც სრულად ვერ გამოავლენენ არსებულ დარღვევებს და დანაშაულს.

სამწუხაროდ, დადგენილების შესრულების მიმდინარეობის პირველმა შემოწმებამ გვიჩვენა, თუ რა დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ზოგან მისი განხორციელებისათვის. აპარკოოპკავშირში 5 სექტემბერს მიიღეს აღნიშნული დადგენილება, და არათუ არ დაუსახავთ ღონისძიებანი, არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ მასზე და არც ქვესაწყისო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის გაუცნიათ, თუშცა, აპარკოოპკავშირის სისტემის ობიექტებში ახლაც ვხვდებით გაჭრობის წესების უხეში დარღვევისა და არასწორი შემოწმების ფაქტებს. თითქმის ასევე მოიქცნენ აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროში.

— ცნობილია, რომ ზოგჯერ კონტროლის სამსახურის ცალკეული უსაფუძვლო მუშაკები ბოროტად იყენებენ თავიანთ უფლებებს, დაუდევრად ეკიდებიან შემოწმების დოკუმენტების შედგენას. ზერელედ, ფორმალურად ამოწმებენ, გამომძალვას ეწევიან.

— დიახ, ჯერ კიდევ ხშირია ასეთი ფაქტები. ამიტომ ახალი დადგენილებით დაწესებულია, რომ უკლებლივ ყველა, ვინც სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს ამოწმებს, მოვალეა ობიექტის ხელმძღვანელს წარუდგინოს თავისი პიროვნებანს, შემოწმების უფლებისა და პროგრამის (რას ამოწმებს და რა ვადაში) დამადასტურებელი სახუთები. მათ საკალდებულო წესით საკონტროლო ჟურნალში უნდა შეიტანონ შემოწმების შედეგები და წინადადებები გამოვლენილულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, აქტში უნდა აღნიშნონ, რომ შედეგები შეტანილია საკონტროლო ჟურნალში, ხოლო თუ ჟურნალი არ იქნება, ეს უნდა მიუთითონ აქტში. შემმოწმებელმა ჟურნალის ჩანაწერის ერთი პირი დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების შესაბამის ზემდგომ ორგანოს. მკაცრი დისციპლინური სასჯელი დაედებათ იმათ, ვინც ზერელედ შეამოწმებს და საკონტროლო ჟურნალში არ ჩაწერს შედეგებს. რაც შეეხება გამომძალვას, უპატიოსნო ელემენტები მართლაც გვხვდებიან. ამას წინათ თბილისის პირველი მაისის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტს ამოწმებდა რევიზორი. მისთვის აგრეთვდნენ ფულს. მაგრამ ბოროტმოქმედი ამხილეს დამნაშავენი მაკარად დაისჯებიან.

— სხვათა შორის, ზოგჯერ მოდის ერთი შემმოწმებელი, მოდის მეორე, მესამე, ვერავითარ დარღვევას კი ვერ ამჩნევენ. მოვა მეოთხე და... მრავალი ნაკლი გამოამზეურდება ხოლმე.

— სწორედ ამიტომ დადგენილება მიუთითებს, რომ განსაკუთრებული მსჯელობის საგნად აქციონ ასეთი შემთხვევა, საქიროების კვალობაზე შეიძლება პრაქტიკაში შემოიღონ ადრე შემოწმებული ობიექტების ხელახალი შემოწმება სხვა მუშაკების ძალებით. რას იზამთ, ხანდახან ესეც საჭიროა, ზოგჯერ კი აუცილებელიც.

— მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ზოგჯერ საყვედურს გამოთქვამდნენ, რომ კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული მოვალეობანი, რომლებიც მათ აკისრიათ დაქვემდებარებულ ობიექტსა თუ ორგანიზაციაში სრული წესრიგის დამყარებისათვის.

— ასეთი საყვედურები კი იყო, მაგრამ. ალბათ, ალარ იქნება, რადგანაც ამ დოკუმენტში ზუსტად არის დადგენილი და ფორმულირებული, თუ რაზე აგებენ პასუხს ისინი. უმეცარს ზომებს მიიღებენ იმ საწარმოთა დირექტორებისა (გამგეებისა) და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიმართ, სადაც მომხმარებელსა თუ შემკვეთს მოატყუებენ წონა-ზომისა და ანგარიშში, თავს აარიდებენ დარღვევებთან ბრძოლას, ან ფორმალური ხასიათის ზომებს მიიღებენ, საწარმოში არ ექნებთ საკონტროლო ჟურნალი, ან განზრახ დაუმალავენ მას შემმოწმებელს, დროულად არ მოახდენენ რეაგირებას მხლებელ დარღვევებსა და ნაკლოვანებებზე.

ამგვარი უპასუხისმგებლობის ნათელი მაგალითები გამოვლინდა ამ დღეებში ობიელისპურავჭრობის № 94 მაღაზიაში, სადაც შემოწმების მომენტისათვის ჟურნალის ოთხი ჩანაწერიდან არცერთზე არ მოუხდენიათ რეაგირება, და კიროვის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 214 გაერთიანებაში, სადაც მშრომელთა 11 საჩივარი და წინადადება უპასუხოდ არის დატოვებული. ასეთი გულგრილობისა და უმოქმედობისათვის მარტო ობიექტის ხელმძღვანელებმა კი არ უნდა აგონ პასუხი, არამედ თბილისპურავჭრობისა და კიროვის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის ხელმძღვანელებმაც. ობიექტის ხელმძღვანელები პასუხს აგებენ, აგრეთვე, თუ არ დაიცავენ ზემდგომ ორგანიზაციებში ინფორმაციის წარდგენის ვადებს, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ექნებათ საკასო აპარატები, გამყიდველები დაარღვევენ ვაჭრობადადგენილ წესს — ხელზე მიიღებენ ნაღდ ფულს და სხვ.

— ჩვენი გაზეთის მკითხველები ხშირად გვეკითხებიან, რატომ არ არის თბილისის „რესტორნებში ანგარიშსწორების ერთიანი წესი, ზოგან ანგარიშისა და სალაროს ჩეკსაც წარუდგენენ ხოლმე მომხმარებელს, ზოგან კი არა?

— სწორად შეუნიშნავთ. ეს მალე გამოსწორდება. ამის თაობაზე დადგენილებაში ნათქვამია: საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსმ, ეცკავშირის გამგეობამ, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც საზოგადოებრივი კვების ქსელი აქვთ, 1978 წლის იანვრიდან თავიანთ საწარმოებში, სადაც მომხმარებლებს ოფიციანტები ემსახურებიან, გაავრცელონ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს მიერ ქალაქის საზოგადოებრივი კვების ქსელში შემოღებული მომხმარებელთან ანგარიშსწორების ახალი წესი. ახალმა წესმა გაამართლა თავისი დანიშნულება, ამიტომ გაისიდან მთელ რესპუბლიკაში დაინერგება. თუმცა, გულსაფიცარად რომ ვთქვათ, არც თბილისში იკადენ ყველგან მტკიცედ ამ წესს და ძს ზოგჯერ მოჩვენებითი ხასიათი აქვს.

საახლო იქნება ისიც, რომ თბილისის საცალო ვაჭრობის ყველა საწარმოში, სადაც სამი და მეტი გამყიდველი მუშაობს, მომხმარებელთან ანგარიშსწორება უნდა ხდებოდეს სავაჭრო დარბაზში (სექციის გარეთ) დადგმულ სალაროს საშუალებით, მომსახურების სფეროს შემოწმებისათვის ახალი წლის დამდეგიდან გათვალისწინებულია ახალი ნიმუშის ერთიანი ნუმერაციის აქტების შემოღება, რომელიც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებს განეკუთვნება. იგი სავალდებულო იქნება რესპუბლიკის ყველა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურისათვის.

დღემდე ეფექტურებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც ხედავთ, ამ დადგენილებით გადაწყდა და სამართლებრივი ძალა მიენიჭა.

ამ დოკუმენტის ღრმად განმარტებისა და სიახლეთა გაცნობისათვის ამას წინათ მოვაწყეთ საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის ხელმძღვანელთა და მუშაკთა თათბირ-სემინარი.

ახლა ამოცანა ის არის, რომ მომსახურების სფეროში სრული წესრიგის დასამყარებლად, დარღვევათა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ფორმებთან და საშუალებებთან ერთად ქმედითად და უნარიანად გამოვიყენოთ ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც არის საუწყებო და არასაუწყებო სარევიზიო სამსახური, სახალხო კონტროლის ორგანოები და საზოგადოებრივი კონტროლი.

საარქივო საქმე — საყოველთაო ყურადღებისა

თბილისში, ბიბლიოთეკა სკოლა-ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს მუშაკთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები. თათბირი მიეძღვნა უწყებრივი არქივების მუშაობისა და საქმის წარმოების გაუმჯობესების საკითხებს.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ. საარქივო საქმე, — თქვა მან, — სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა და ამიტომ მას მუდამ უურადღებით ეკიდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა. სამინისტროებსა და უწყებებში საქმის წარმოებისა და საარქივო საქმის სწორ დაყენებაზე დიდად არის დამოკიდებული მათი წარმატებული მუშაობა.

თათბირზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსმა ა. მანელაშვილმა გააკეთა მოხსენება „საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა არქივების საქმის წარმოებისა და მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრთა მოადგილე გ. ხიხავა, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუბლავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ქუთათელაძე, ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის დირექტორი პროფესორი მ. შენგელია, „საქმაოდ“ ენის“ სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი თ. ბოკერია, საქართველოს სსრ თქტომბრის რეგოლუციისა და სოციალისტური შენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი შ. გულუა, რესპუბლიკის მთავარი საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი ვ. გორბუშინა და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საჭიროა საარქივო საქმის შემდგომი სრულყოფა, ამ დიდმნიშვნელოვანი ეროვნული ხალხის წარმომადგენლებ: პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია დემოკრატიული გზით აირჩიეს თვით პალესტინელებმა და მათი ერთადერთი და კანონიერი წარმომადგენელია.

ქაირო. (საკლესი). აქ პრეზიდენტმა სადათმა პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ ჯ. კარტერმა ტელეფონით გააცნო მა ბეგინის წინადადებანი. მან აგრეთვე თქვა, რომ ბეგინი მალე ჩამოვა ეგვიპტეში თავისი გეგმის დეტალების განსახილველად.

ბ ე ლ ჯ ი ტ ა ი ჰ ბ ი გ ა ნ ბ ე ბ ი ს ე ბ ი

მსოფლიოს ამბები

ა ი ა ქ რ ძ ა ლ ო ს ნეიტრონული სიკვდილი!

პენტაგონისა და ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განზრახვას შეუდგენენ მასობრივი მოსპობის იარაღის ნაირსახეობის — ნეიტრონული ბომბის წარმოებას, მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა აფასებს, როგორც სერიოზულ საფრთხეს მშვიდობისა და დაძაბულობის შემდგომი შენელებისადმი. ჩვენფუშოთ ეს გეგმები — ასეთია მიზანი მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობისა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში გრძელდება.

ბერლინი. პენტაგონის ვეგმების წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განაცხადა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ. აქ გავრცელებულ განცხადებაში იგი პროტესტსა და დიდ შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის გავლენიანი წრეები აპირებენ დაიწყონ მასობრივი მოსპობის ახალი ტიპის იარაღის წარმოება, აგრეთვე განსაკუთრებულ ნატოს ქვეყნების ტერიტორიაზე. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს ყველა ქალს გააქტიურონ გამოსვლები ნეიტრონული იარაღის წინააღმდეგ, გააძლიერონ ბრძოლა დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობისათვის, ხაზგასმულია განცხადებაში.

რომი. ახალი მომაკვდინებელი იარაღის შექმნის გეგმები მკაცრად გაკიკრიტიკეს თავიანთ გამოსვლაში იტალიელ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა „მრგვალ მაგიდასთან შეხვედრის“ მონაწილეებმა, რომელიც მილანში გაიმართა. პარმის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მეცნიერმა რებერტო ფიესკიმ მკაცრად დაგმო ისინი, ვინც ნეიტრონულ ბომბზე ლაპარაკობს როგორც „ჰუმანურ“ იარაღზე.

ბონი. ნეიტრონული იარაღი შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ სერიოზულ საფრთხეს მთელი მსოფლიოსათვის, განაცხადა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში მიუხნელელმა მწერალმა გ.-ა. რაუტერმა. ამ იარაღით ხურთ აღჭურვონ ნატოს ბლოკის არმიები, ბლოკისა, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის, ევროპის სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მაგრამ საბჭოთა კავშირს, როგორც მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, არ სურს ომი და არავის ეშინერება. ნეიტრონული ბომბი მხოლოდ გააძლიერებს გამალებულ შეიარაღებას და სერიოზულად დაბრკოლებს მოლაპარაკებას განიარაღების პრობლემებზე.

(საკადესი).

ბ ა ვ ა ძ ლ ი ე რ ო თ ბ რ ძ ო ლ ა დ ა რ ღ ვ ე ვ ა თ ა და დ ა ნ ა შ ა უ ლ ო ბ ა თ ა ფ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ

□

რომლებიც უბრუნველყოფდნენ დარღვევებთან და დანაშაულობასთან ბრძოლაში მკვეთრ გარდატეხას, აამაღლებდნენ შემოწმების ხარისხისათვის იმ ორგანიზაციათა და პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც აკონტროლებენ მუშაობას, მკაცრად მოსთხოვდნენ პასუხს მუშაკებს, რომლებიც სრულად ვერ გამოავლენენ არსებულ დარღვევებს და დანაშაულს.

სამწუხაროდ, დადგენილების შესრულების მიმდინარეობის პირველმა შემოწმებამ გვიჩვენა, თუ რა დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ზოგან მისი განხორციელებისათვის. აპარკოოპკავშირში 5 სექტემბერს მიიღეს აღნიშნული დადგენილება, და არათუ არ დაუსახავთ, ღონისძიებანი, არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ მასზე და არც ქვესაწყისო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის გაუცნიათ, თუშცა, აპარკოოპკავშირის სისტემის ობიექტებში ახლაც ვხვდებით გაჭრობის წესების უხეში დარღვევისა და არასწორი შემოწმების ფაქტებს. თითქმის ასევე მოიქცნენ აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროში.

**— ცნობილია, რომ ზოგჯერ კონტროლის სამსახ

რეალისტური ხელოვნების გზით

კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი საღამო ერევანში

ერევანი. (საქინფორმის კორ.). ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი საღამო.

საღამო გახსნა სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ ე. მირზოიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ოთარ თაქთაქიშვილი არის ერთ-ერთი წამყვანი საბჭოთა კომპოზიტორი, რომლის შემოქმედებასაც კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ო. თაქთაქიშვილი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეა: იგი სათავეში უდგას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, არის სსრ კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, ფუნქციოსთან არსებული საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებაზე ილაპარაკა მუსიკისმცოდნე მ. არუთინიანმა, რომელმაც თქვა:

ო. თაქთაქიშვილის შემოქმედება, რომელიც გამდიდრებულია ქართველი ხალხის უძველესი ტრადიციებით, „თასსწლეულების ცხოვრებით რომ გაუდგამთ ფესვი, ღირსეულად წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს მაღალ განვითარებულ, უაღრესად თვითმყოფად მუსიკალურ კულტურას. იგი მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობის ხელოვანია, მოზრდილი და ღრმად მგრძნობიარე, რეალისტური ხელოვნების მაღალი პრინციპების ერთგული ხელოვანი, ჯერ კიდევ 1944 წელს, როცა ოთარ თაქთაქიშვილი თბილისის კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი იყო (პროფესორ სერგი ბარხუდარიანის კლასი), მას წილად ხვდა დიდი პატივი გაეხადიაყო საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ავტორი.

საღამოზე კომპოზიტორის ხელმძღვანელობით შესრულდა ოპერა „მინდიას“ ბოლო პარტია, რომელიც შეასრულა ო. კავაზიანმა. მეორე საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა მარინე მდივანმა, „გურული სიმღერა“ ხალხური კამერული გუნდისათვის შეასრულეს ქ. რუსთავის ხალხურმა გუნდმა და სომხეთის საგუნდო საზოგადოების ა. ტერ-ოვანესიანის სახელობის გუნდმა.

შევისწავლოთ მოზგლიური ენა

სამ დღეს მომდინარეობდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში „ქართული ენის საუნჯის“ IV რესპუბლიკური შეკრება-სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, ბორჯომის, წულკანის, დუშეთის, ახმეტის, სამტრედიის, თიანეთისა და სხვა ქალაქების მოსწავლეები. ეს იყო ნორჩ დიალექტოლოგთა და ონომასტიკოსთა შეხვედრები, სექციათა სხდომები, საინტერესო მოხსენებები და ძიებანი ქართული ენის ლექსიკისა და გრამატიკული წყობის შესახებ.

„ქართული ენის საუნჯის“ IV რესპუბლიკური შეკრება-სემინარის მუშაობაში და მოსწავლეთა მოხსენებების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. გიგინეიშვილმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა— ო. თოფურიამ, გ. ბეღიშვილმა, ა. ასათიანმა და თ. ღვინაძემ.

დ. ჯედგინიძე.

გმირის მოსაგონებლად

ბოლნისი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (დირექტორი ბობოხიძე) ინიციატივით ოლნისსა და დმანისის რაიონების ოლტორის მოშაკში, სოფელ დიდი ჯომარხითის მეიდნი შეიკრიბნენ ჭლიხთა რეგიონული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის მაქო მჭიდლიძის სათლაოთან.

ამბავ რეგიონალიზერებს, ...ათ, ვინც თავი ...ს უკეთესი მომავლისათვის ...ძოლაში, ხალხი არ ივიწყებს. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ ...მოკიდებული წიგნი ბ. მეჯიბრიშვილისა „თეთრი მგელი“, რომლის მთავარი ...ემქმედი გმირიც, სწორედ გორეთელი ...ლეხი მაქსო მჭიდლიძეა.

წიგნისა და მისი გმირის შესახებ ...ალად ილაპარაკა ი. ...ბოხიძემ.

ბორჩალოს მაზრის რევოლუციური წარსულის შესახებ მოხსენება ...ა „...ი“ და „თეთრი მგელი“ რეალური ნაწარმოებისა ...მისი გმირის შესახებ საინტერესოდ ისაუბრა ბოლნისის ...ინმეცნიერებათა მეზობელთა ...ნამშრომელმა ი. მერაბიშვილ...

...დიდი ჯომარითის საშაოალო ...ოლის დირექტორმა ვ. მეჯიბ...შვილმა შეკრებილთ მოთხრ...ო სოფლის ისტორიაზე.

მ. როხაძე.

დღეს დღე ვითარდება და მტკიცდება ქართველ და რუს სწავლულთა მეცნიერული კონტაქტები და შემოქმედებითი თანამშრომლობა. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა ის კავშირურთიერთობა და მეგობრობა რომელიც უკანასკნელ წლებში დამყარდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტსა (ლენინგრადი) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის.

საგულისხმოა, რომ თუ ადრე ძველი, ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი ლენინგრადში ძირითადად უნივერსიტეტსა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მეინდოშნებოდა. ახლა ასეთივ ინტერესმა თავი იჩინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში (პუშკინის სახლში), რომელიც არა მხოლოდ კუშკინმცოდნეობის მძლავრი კერაა, არამედ ხალრთოდ რუსული ლიტერატურის საყოველთაოდ აღიარებულ ცენტრს წარმოადგენს. მის განკარგულებაშია რუსეთის მწერლების ცხოვრებამოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები; მის სამეცნიერო-კვლევით განყოფილებებში მუშაობა წარმოებს რუს მწერალთა თხზულებების აკადემიური გამოცემების მომზადების მიზნით. ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები მრავალად აქვეყნებენ საყურადღებო კრებულებს. ფუნდამენტურ მონოგრაფიებსა და გამოკვლევებს.

პუშკინის სახლში განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა ძველი რუსული ლიტერატურის სექტორი, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელგანთქმული მეცნიერი, საბჭოთა კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დმიტრი ლიხაჩოვი. სწორედ მისი ინიციატივით ჩატარდა შარშან რუსული ლიტერატურის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხიმიმოზუმი, რომელიც თვით დ. ლიხაჩოვის მიერ ასე იყო სახელდებული — „ძველი ქართული ლიტერატურის სამი დღე პუშკინის სახლში“.

ძველი ქართული ლიტერატურის დღეების ჩატარება ლენინგრადში ჩვენი ეროვნული სულიერი კულტურის ერთ-ერთი აღიარება იყო. სიმპოზიუმი არა მარტო მეცნიერთა თანამშრომლობის, არამედ ხალხთა მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა. მისი მონაწილენი აღტაცებული დავრჩით ამ გულთბილი დამოკიდებულებით, რომელსაც ლენინგრადელი კოლეგები ჩვენს მიმართ იჩენდნენ. ყველგან და ყველფერში იგრძნობოდა დიდი პატივისცემა ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი კულტურისა და მეცნიერებისადმი.

ამას წინათ ჩატარდა სიმპოზიუმი — „ძველი რუსული ლიტერატურის სამი დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომელიც ქართველ და რუს მეცნიერთა ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურება იყო. იგი ჯახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დ. ჩხეიძეშვილმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მეცნიერული კონტაქტების მნიშვნელობასა და ქართველ და რუსი მეცნიერების შემოქმედებითი ურთიერთობის ზრდა-განვითარების პერსპექტივებზე. ლენინგრადელ სტუმრებს მუურავლად მიესალმა ჩვენი უხუცესი მეცნიერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს სხრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. შანიძე.

ვრცელი მოხსენებით — „მონუმენტურ-ისტორიული სტილი ძველ სლავურ ლიტერატურებში და მისი მსოფლიო კავშირი — ურთიერთობანი“ — გამოვიდა დ. ლიხაჩოვი. მომხსენებელმა, — საყოველთაოდ აღიარებულმა, უსაზღვროდ ერუდიტულმა მკვლევარმა, — განმარტა უაღრესად აქტუალური პრობლემა, ... ახლებურად გაიაზრა ლიტერატურათმცოდნეობის ზოგიერთი ძირეული საკითხი.

დ. ლიხაჩოვის მოხსენებამ, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით, ტონი მისცა მთელ სიმპოზიუმს.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს აგრეთვე სხვა მოხსენებებიც. სახელდობრ, ი. ლურიეს „სიუჟეტური თხრობა ძველ რუსულ ლიტერატურაში“, ო. ტვოროგოვის „ბიზანტიური ქრონიკები ძველ რუსეთში“, მ. სალმინას „კონსტანტინ მანასის ქრონიკა და ლიტერატურული სტილი XVI საუკუნის რუსეთში“, რ. დმიტრიევას „ძველი რუსული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლი — „მოთხრობა პეტრესა და ფევრონიაზე“, დ. ბულანინის „კლასიკური კულტურა ძველ რუსეთში და მისი შესწავლის პრობლემები“, გ. პოხორეოვის „ძველი რუსული კულტურის შინაგანი დინამიკა“, ა. პანჩენკოს „რუსული ლიტერატურის ევროპეიზაცია XVII საუკუნეში“. გარკვეული ინტერესი გამოიწვია ნ. დემკოვას, ნ. პონირკოს, მ. კაგანისა და ი. სმირნოვის მოხსენებებმაც. ვ. ბუდარაგინის მოხსენების — „პუშკინის სახლის არქეოგრაფიული ექსპედიციების“ შემდეგ ნაჩვენები იყო საგანგებოდ გადაღებული დოკუმენტური კინოფილმები.

მსმენელები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ნ. დრობლენკოვას, ლ. შეპელიოვისა და ო. ბელობრაკის მოხსენებებით, რომლებშიც მასალის საფუძვლიანი ცოდნითა და სიყვარულით იყო მიმოხილული ძველ რუსულ წყაროებში შემონახული ცნობები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ. ჩვენს მოხსენებაში მიმოვიხილეთ ძველი რუსული ლიტერატურის შესწავლა საქართველოში.

მოხსენებებით ძირითადად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი რუსული ლიტერატურის სექტორის თანამშრომლები გამოვიდნენ, მაგრამ რამდენიმე საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს დ. ლიხაჩოვის მოწაფეებმა, რომლებიც ლენინგრადის სხვა დაწესებულებებში მუშაობენ (ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქივში და სხვ.).

ლენინგრადელ მეცნიერთა მოხსენებები შეიცავდა მრავალ საფურადღებო დაკვირვებასა და მნიშვნელოვან მიგნებას, გამოირჩეოდა მსჯელობის ლოგიკურობითა და ანალიტიკური ანალიზის სიღრმით.

სიმპოზიუმმა დამაჯერებლად ცხადყო ძველი რუსული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის მაღალი დონე, ჯეროვნად წარმოაჩინა ის დიდი კვლევაძიებითი მუშაობა, რომელიც დ. ლიხაჩოვის ხელმძღვანელობით ხორციელდება ლენინგრადში.

ლენინგრადელმა მეცნიერებმა არა ხოლოდ საკუთრივ ძველი რუსული ლიტერატურის ძირითადი საკითხები განიხილეს, არამედ წამოაყენეს ზოგადთეორიული ხასიათის არაერთი პრობლემა. ბევრ მათგანს დიდი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის. ეს გარემობა საგანგებოდ აღინიშნა მოხსენებათა განხილვისას — აზრთა ცხოველ გაცვლა-გამოცვლაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლებმა (აკად. ა. ბარამიძემ, პროფესორებმა ვ. შადურმა, მ. ლორთქიფანიძემ, ს. ხუციშვილმა, ნ. ორლოვსკიმ, რ. სირაძემ, დ. თუხარელმა, დოცენტებმა ე. კრემერმა, ლ. გრიგოლაშვილმა, ჯ. ფარულავამ), ისე სხვა დაწინაურებულებმა. ჯერჯერობ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის (პროფ. რ. ბარამიძე), კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (პროფ. მ. შანიძე), ჯ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის (პროფ. ა. ჯეაბარია), მწერალთა კავშირის (პროფ. ჯ. ციციშვილი), თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (პროფ. ე. ნარკვიანი) წარმომადგენლებმა, აგრეთვე ხოფილ მარმა.

თბილისელმა მეცნიერებმა არა მხოლოდ ზოგადად შეაფასეს მოსმენილი მოხსენებები, არამედ ლენინგრადელ კოლეგებს მიაწოდეს ბევრი საინტერესო ცნობა ძველი ქართული ლიტერატურიდან.

„ძველი რუსული ლიტერატურის სამი დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ფრიად ხერხიანად ნოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურულ-მეცნიერულ ცხოვრებაში. იგი უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს ძველი რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციას საქართველოში, მყარ მეცნიერულ საფუძველზე დაამკვიდრებს ძველი რუსული ლიტერატურის კვლევას ჩვენს რესპუბლიკაში.

ლენინგრადსა და თბილისში ჩატარებული ორი სიმპოზიუმი დიდ პერსპექტივას სახავს მომავალი ერთობლივი მუშაობისათვის. ქართველ და რუს მეცნიერთა შემოქმედებითი კავშირურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო სისტემატურ ხასიათს მიიღებს და განამტკიცებს ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას.

ლ. მენაბდე,
პროფესორი.

ჭადრაკის დაფებთან

ფინიშის სიმაღლეზე

თუ ადრე არაერთგზის გამოთქვა უკმაყოფილება ყაიმების სიმრავლის გამო, ფინიშზე ბრძოლას უკვე სავსებით უკმაპრმისო ხასიათი მიეცა.

მეცამეტე ტურში ძალზე საინტერესო იყო ტალ-პეტროსიანის შეხვედრა. პეტროსიანმა ფრანგული დაცვა ირჩია. მაშინ ტალმა თამამად შესწორა ცენტრალური პაიკი და ჭარბი ძალებით დაიწყო იერიში. პეტროსიანმა დაიარგა როქის უფლება და კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ექსპერტებს უკვე ეპვი აღარ ეპარებოდათ, რომ ტალი გაიმარჯვებდა. ეტყობა, ასე იფიქრა თვით ტალმაც და... ერთ მომენტში უყურადღებოდ ითამაშა: პეტროსიანმა, რომელიც დიდებულ „მცველად“ თვლება, შეძლო ფიგურების თამაშში ჩაბმა. ტალს ფიგურის შეწირვით თვით მოუხდა მუდმივი ქიშით ყაიმის ფორსირება.

მთელი შეჯიბრების მანძილზე კოჩიევი ყაიმზე თანაბრა იყო, მაგრამ ივი ძალზე გაამწარა ბოლო ტურებში წაგებულმა ორმა პარტიამ. ახლა მსოფლიოში ყველაზე უფრო ახალგაზრდა დიოსტატმა (კოჩიევი 21 წლისაა) შეძლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სმისლოვის დამარცხება. ეს კოჩიევის პირველი მოგებაა ამ ტურნირში. რომანიშინმა დასაწყისიდანვე უკეთესი პოზიცია მიიღო გრიგორიანთან. შემდეგში მოსკოველი ოსტატი ბეგრს ეცადა, მაგრამ ვერაფერ შეძლო მდგომარეობის გათანაბრება. რომანიშინმა გიმარჯვა. გულკომ თეთრებით ვერ მიიღო უპირატესობა ბაგიროვთან და ყაიმს დასჯერდა.

ადრე გადადებულ პარტიებში დორფმანმა მოუგო რომანიშინს, გრიგორიან-ალბურტი და რომანიშინ-სმისლოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

13 ტურის შემდეგ გულკომ 8.5 ქულა მოაგროვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ, პეტროსიანი და დორფმანი.

გუშინდელ მეთოთხმეტე, უკანასკნელისწინა ტურში გულკო შავებით ეთამაშებოდა სვეშნიკოვს, პეტროსიანი თეთრებით გელერს და დორფმანი — ასევე თეთრებით კოჩიევს. სამივე ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

მაია ჩიბურდანიძის იუვენალური წარმატება

მეთორმეტე ტურში პირველი პარტია წაგო ალექსანდრიამ, რომელიც ახმლოვსკაიას ეთამაშებოდა. ეპშტეინ-იოსელიანის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. პარტიების დიდი უმრავლესობა გადადებულ.

გადადებული პარტიების დამთავრებამ ... **ჩიბურდანიძე ეს, რომელმაც ხამი გამარჯვება იზეიმა — ეპშტეინთან, ლატინსკაიასთან და მაკარიჩევასთან.**

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახმარუმოვა-ალექსანდროვის პარტიას, რომელიც შეწყვეტილი იყო ქართველი დიდოსტატის პოზიციური უპირატესობით. ალექსანდროვამ ეს პარტია მოიგო და ამრიგად საბოფათო მეტოქე „დამაუბრუშა“. ახლა ალექსანდროვას დასამაგრებელი რჩება კიდევ ერთი პარტია მოსკოვის ჩემპიონ ზატულოვსკაიასთან. დაიხლოებით თანაბარი შესაძლებლობებით.

გადადებულ პარტიების დამთავრებამ საკრძნობლად გამოარკვია მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში. ახლა ბრწყინვალე შედეგით — 12 თამაშიდან 10 ქულით პირველ ადგილზეა დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე, 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას, 8 ქულით შემდეგ ადგილზეა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ანა ახშარუმოვა (მოსკოვი).

გ. გამრეკელი.

ლაიფციგის ტრადიციული

მოსკოველმა ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან ა. ჭიკინაძესთან საუბარში თქვა:

— ტურნირი „ქალაქ ლაიფციგის პრიზზე“ (ასეთია მისი ოფიციალური სახელწოდება) დამთავრდა **9,5 ქულით პირველი — შესამე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა მალეხმა, ბანაკმა** (ორივე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან) და **სმეიკალმა** (ჩეხოსლოვაკია). კოეფიციენტებ ი ს ცხრილში უკეთესი მაჩვენებლების გამო პირველი პრიზი მიეკუთვნა მალეხს, მეორე — სმეიკალს, მესამე — ბანაკს.

ახალგაზრდა ოსტატი ა. პეტროსიანიმ (საბჭოთა კავშირი) **ექვსი ქულა მოაგროვა, მეორედ შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმა** და ეს წოდება ფიდეს უახლოეს კონგრესზე მიენიჭება.

უკანასკნელისწინა, მეთოთხმეტე ტურიდან გადადებული პარტია კუბელ ოსტატ ბუენოსთან ყაიმით დავამთავრე. უკანასკნელ ტურში წავაგე საერთაშორისო ოსტატ ესპიჯთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). შეჯიბრება დავასრულე 6,5 ქულით და საბოლოოდ 9-11 ადგილები გავიყავი დიდოსტატ ლუტკოვსკი (საბჭოთა კავშირი) და ოსტატ ჰესსთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ფეხბურთი

სუპერთასი — ბალის „მეიურს“

კვირას თბილისში გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მატჩი სუპერთასზე ხალ ქართველოს 1977 წლის ჩემპიონ ბალის „მზიურსა“ და რესპუბლიკის წლევანდელ თასის მფლობელ თელავის „ნადიკვარს“ შორის. ეს თასი დაარსა გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ და იგი წლეულს პირველად გათამაშდა.

თამაში მიმდინარეობდა სინტერესოდ, ორივე გუნდს ჰქონდა ბურთის ბატონის შესაძლებლობები, მაგრამ ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. დამატებით დროში თერმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით ბურთი თელავის „ნადიკვარის“ კარში გავიდა და სუპერთასის პირველი მფლობელი ბალის „მზიური“ გახდა.

ძალოსნობა

რიაზანის ფიცარნაგზე

რიაზანის პროფკავშირთა კულტურის სასახლეში სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მძიმე წონის ათლეტთა (110 კილოგრამზე მეტი) შეჯიბრებაში ეროშილოვგრიდელმა ანატოლი პოვაგემ ორჭიდში დაგროვა 410 კილოგრამი და პირველი ადგილი დიკავა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ჩემპიონი ამ წონიას კატეგორიაში ასლანბეგ ენალდიევი და ორგზის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი ვასილ ალექსეევი ტრავმის გამო შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

კალათბურთი

დამარცხება პირველ მატჩში

კაუნასში დიდწყო კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი მატჩები, სადაც თორმეტივე გუნდი მონაწილეობს. რომელი კოლექტივებიც ამ წრეში I-VIII ადგილებს დაიკავებენ მეორე ეტაპზე ორ წრედ (ნინ და სტუმრად) განგრძობენ ჩემპიონობისათვის ბრძოლას.

გუშინ პირველ მატჩში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები შეხვდნენ რიგის არმიელებს. დამბული ბრძოლა დამთავრდა ლატვიელი კალათბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 97:95.

კოვეი

„იზვესტიას“ ჭრილვზე

კვირას მოსკოვში გაზეთ „იზვესტიას“ პრიზზე საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 8:3. შეეცადის ნაკრებისა და კანადის პროფესიულ გუნდ „ავანგარდ ნორდინსკს“ შორის მატჩი დამთავრდა შვედი ჰოკეისტების სასარგებლოდ ანგარიშით 6:2.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჯანდაცვის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ხკკპ წევრი 1945 წლიდან, გარდაბნის რაიონის მთავარი ექიმი

ლევან კონსტანტინეს ძე მოსიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხიხლამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს ტყეყეო, ცელულოზა-ქაღალდის და ხიხლამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჯანდაცვის ღვაწლმოსილი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ხკკპ წევრი 1945 წლიდან, გარდაბნის რაიონის მთავარი ექიმი

ბორის სილოვანის ძე ოტბრიანაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეგობრობის ღრმა ფესვები

ლენინგრადელ და ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობა

□

მასპინძელია საბჭოეთის დედაქალაქი

საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის შემოქმედების დათვალიერება მოსკოვში

ბაკალიდან, 21 დეკემბრიდან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მოსკოვში იწყება საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის მუსიკისშემსრულებლების, მხატვრებისა და არქიტექტორების — პოეტების, კომპოზიტორების შემოქმედების ჩვენება. ექვსი დღის მანძილზე რესპუბლიკის ახალგაზრდა ტალანტები მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს გააცნობენ საბჭოთა საქართველოს ფორმით ეროვნულ, შინაარსით სოციალისტურ, სულსკვეთებით ინტერნაციონალურ კულტურას, ხელოვნებას. ეს გამოსვლები დაადგენენ საქართველოს სს რესპუბლიკის საიუბილეო პატაკებს იმ წარმატებების შესახებ, რომლებსაც ქართველმა ხალხმა ლენინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლები მოსკოველებს მოუთხრობენ რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების შესახებ, წარმოუდგენენ ამ დარგში მიღწეულ წარმატებებს, გაუზიარებენ თავიანთ შემოქმედებითს გეგმებს.

21 და 24 დეკემბერს კომპოზიტორთა სახლში გაიმართება ორი კონცერტი, რომლებზეც შესრულდება ახალგაზრდა კომპოზიტორების ვ. ჭულუხაძის, მ. ოძელის, თ. შავლოხაშვილის, ე. ლონდარიძის, გ. ჯაფარიძის, მ. ცერცვაძის, გ. ჩლაიძის, რ. კაჟილოტხა და სხვების ნაწარმოებები. ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გამოვლენ პოეტები. აქ ქართული ლიტერატურის საღამოზე მკითხველებს შეხვდებიან პოეტები და პროზაიკოსები დ. ივარდავა, ბ. ჭოხონელიძე, ჯ. თოფურიძე, გ. ალხაზიშვილი, მ. ჯოხაძე და სხვები.

ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სცენაზე თავის ხელოვნებას აჩვენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილები. მოსკოველი მაყურებლები ნახავენ სტუდენტების ერთ-ერთ ახალ ნამუშევარს — ბ. ლავრენიევის სპექტაკლ „რღვევას“, რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, პროფესორმა დ. ალექსიძემ.

კრასნაია პრესნიას თეატრ-სტუდიაში მეტების სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის კოლექტივი აჩვენებს თავის საუკეთესო ნამუშევრებს — „ლადო კეცხოველს“, „მოსაწყენი დღეების ქრონიკას“ და ახალი დადგმების ნაწყვეტებს.

მოგწყობა რესპუბლიკის ახალგაზრდა მხატვრების, მოქანდაკეებისა და არქიტექტორების ნამუშევართა გამოფენები. აგრეთვე ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავს საქართველოს კომკავშირელთა ყოველდღიურ შრომას, ახალგაზრდობის მრავალფეროვან ცხოვრებას.

დათვალიერება დასრულდება დიდი საღღესასწაულო კონცერტით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ვოკალურ-საცეკვაო ანსამბლი „რუსთაველი“, საქართველოს კამერული ორკესტრი და სახელმწიფო კვარტეტი, რესპუბლიკის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ანსამბლი „მზიური“, საესტრადო ვოკალური ანსამბლი „ლალე“, პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მსახიობები, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ე. გეწაძე, მ. თომაძე, მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი ბ. ფუშმალიშვილი, „ცისფერი ტრიო“.

საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს შეხვდებიან მოსკოველ კოლეგებს, დედაქალაქის კომკავშირულ აქტივს.

(საქინფორმი).



ყველაფერი ადამიანისათვის



აუხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე თბილა. ალერსიანად ანათებს მზე. ზღვიდან გრილი ქარი ქრის. ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბევრი მშრომელი ისვენებს. ხურათზე ზემოთ — გუდაუთის ახალ პანსიონატში.

ამ ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძეში. ახლახან წალენჯიხის საკოლმეურნეოთა-თაშორისო მშენებლობის სახლმა ააგო კოლმეურნეობის ახალი კეთილმოწყობილი კანტორა (ხურათზე ქვემოთ), რომელშიც მოთავსებულია აგრეთვე კლუბი.

ი. ჰოსონელიძის (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი) და ბ. ბოზოხიას („კომუნისტის“) ფოტო.

სასამართლო დარბაზიდან

ქურდბაცაცები

ჰიათურის № 20 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე თ. ჩინჩალაძე ამხანაგებთან ერთად საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში ნათესავებს ეწვია. მასპინძლები გულითადად შეხვდნენ სტუმრებს, შემდეგ ავტობუსის გაჩერებამდე მიაცილეს და კეთილი მგზავრობა უსურვეს.

მაგრამ შეზარხოშებულმა ახალგაზრდებმა არაფრად ჩაგდეს კეთილი რჩევა-დარიგება. ... ... გზა აირჩიეს — გადაწყვეტეს სოფლის შემნახველი სალარო გაეძარცვათ.

ერთ-ერთი მათგანი — რ. კუტაშვილი შენობის სახურავზე ავიდა. კრამიტები ააძრო, ჭერი აარღვია და სეიფთან აღმოჩნდა. მას ძმაკაცები — ჯ. ლეკანოიძე და ბ. გელბახიანიც მიჰყვნენ. მაგრამ სეიფის გატეხვა ვერ მოახერხეს. იძულებული გახდნენ 28 მანეთს დასჯერებოდნენ, რომელიც შენახველი სალაროს ერთ-ერთ მუშაკს წინადღით მაგიდაზე დარჩენოდა. „კამპანიას“ ეს თანხა ეყოფა. რ. კუტაშვილი, ჯ. ლეკანოიძე, ბ. გელბახიანი და თ. ჩინჩალაძე სამრეწველო საქონლის მაღაზიის სახურავზე აძვრნენ და უკვე ნაკადი მეთოდით შეაღწიეს შენობაში. მეზუთე თანამონაწილეს ა. აბრამიშვილს მძარცველებმა „საერთო მეთვალყურეობა“ დაავალეს. ძმაკაცებმა მაღაზიიდან გატაცეს დაახლოებით 2 ათასი მანეთის საერთო ღირებულების სხვადასხვა საქონელი.

მაგრამ მძარცველებმა ნაძარცვის განაწილება ვერ მოასწრეს, შინაგან საქმეთა საჩხერის რაიონის რაიგანყოფილების მუშაკებმა მათ დანაშაულზე მიუსწრეს და დაპატიმრეს.

საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლომ მძარცველებს სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. (საქინფორმი).

მოსკოვური დღიურები

შეხვედრა ქართულ კინოსთან

მოსკოვის ცენტრალურ კინოს სახლში მოსკოველებს აჩვენეს რეჟისორების ნ. ნენოვას და ს. წულაიას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „პეპელა“. შემდეგ კინორეჟისორმა მ. ხუციევმა მაყურებლებს წარუდგინა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი ხურათის „სამანიშვილის დედინაცვლის“ საავტორო ჯგუფი. დამდგმელი-რეჟისორია ელდარ შენგელაია, სცენარის ავტორი რ. ჭეიშვილი, ოპერატორები ლ. ბაგლედანი, ი. სხირტლაძე. კომპოზიტორები გ. ყანჩელი და